ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარიამ ცხადაძე

სოციალური კონტროლის ეფექტურობის ფსიქოლოგიური საფუძვლები

ნაშრომი შესრულებულია ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: თსუ-ს ასოცირებული პროფესორი,ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ ნადარეიშვილი

თბილისი

2015

შინაარსი

აბსტრაქტი 2

შესავალი 4

თავი 1. სოციალური კონტროლის დეფინიცია 8

1.1სოციალური კონტროლის ტიპები 10

1.2 სოციალური ინტეგრაცია და სოციალური რეგულაცია დიურკჰემთან 15

1.3 სოციალური კონტროლის დეფინიცია ნაშრომში 17

თავი 2. ნორმა 18

2.1 სოციალური სისტემა 18

2.2 სამართალი 19

2.3. რა არის ნორმა? 21

2.3.1 სამართლის და სოციალური ნორმები 23

2.4 სანქცია 26

თავი 3. დევიაცია და დანაშაული 29

3.1 დევიცია 29

3.2 დანაშაული 31

თავი 4. განწყობის თეორია 33

4.1 განწყობის ადგილი ფსიქოლოგიურ თეორიებში 33

4.2 განწყობის ცნება 34

4.3 განწყობის კომპონენტები 37

4.4 განწყობის სახეები 38

4.5 იმპულსური ქცევისა და ობიექტივაციის (არაიმპულსური)პლანი 40

თავი 5. სოციალური დეზორგანიზაცია 42

თავი 6. თეორიული ანალიზი 48

6.1 სოციალური ინტეგრაცია, სოციალური რეგულაცია და განწყობა 50

6.2 სოციალური ინტეგრაცია, როგორ მთავარი რგოლი სოციალური კონტროლის ჯაჭვში 52

6.2.1 სიტუაციური, ფიქსირებული თუ დისპოზიციური განწყობა? 53

6.3 სოციალიზაცია და განწყობა 57

თავი 7. დასკვნა 65

გამოყენებული ლიტერატურა 67

აბსტრაქტი

დევიცია თითოეული საზოგადოებისათვის განსხვავებულად აღიქმება. ქცევა, რომელიც ერთ საზოგადოებაში დევიაციაა, მეორეში შესაძლოა სრულებითაც კონფორმული ქცევა იყოს, შესაბამისად სოციალური კონტროლის მექანიზმებიც განსხვავებულია. არ არსებობს არც ერთი სოციუმი დევიაციური ქცევისა და დანაშაულის, შესაბამისად, არ არსებობს არც ერთი საზოგადოება სოციალური კონტროლის გარეშე. ის არის საშუალება, გაკონტროლდეს ინდივის ქცევა, რის გარეშეც სოციალური სტრუქტურა დაირღვევა.

საკითხის აქტუალობა გამოიწვია საქართველოში ბოლო წლებში დანაშაულის რიცხვის ზრდამ. 2017 წლის მონაცემებით დანაშაულის საერთო მაჩვენებელი იყო 37944, ხოლო 2018 წელს მკვეთრად გაიზარდა - 58412, ამიტომ მნიშვნელოვანი გახდა ვიკვლიოთ თუ როგორ შევამციროთ დანაშაულის რიცხვი. გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური კონტროლი არის ის საშუალება,რომელიც დანაშაულის შეკავებას უწყობს ხელს,დაისვა კითხვა : იქნებ სოციალური კონტროლის მექანიზმების არასწორი ფუქნციონირება იწვევს სწორედ დანაშაულის მაჩვენებლის ზრდას? დასმულ კითხვაზე საპასუხოდ გაანალიზდა სხვადასხვა თეორია,რის შედეგადაც გამოიყო ასპექტი, თუ რა უწყობს ხელს სოციალური კონტროლის სიძლიერეს - ესაა სოციალური ინტეგრაციის ეფექტური ფუნქციონირება, რომლისთვის, თავის მხრივ, განმსაზღვრელია ძლიერი დისპოზიციური განწყობების არსებობა.

შედეგად, დადგინდა, რომ ძლიერი ნორმატიული დისპოზიციური განწყობების ჩამოყალიბება განაპირობებს ქცევითი მოდელების მდგრადობას, ინტეგრაციის სიძლიერისათვის კი მნიშვნელოვანია, როგორც დისპოზიციური განწყობების სიძლიერე, რომლის სიძლიერე, თავის მხრივ, განსაზღვრავს სოციალური კონტროლის ეფექტურობას.

Abstract

Deviation for each society is perceived differently. Behviour, which is deviation in one socium, may be the confomal act in the other one, accordingly, mechanisms of social control is different. There is no socium without deviation and crime, respectively, without social control. It is the way to control individual behavior and whithout it social structure is going to disrupt.

The actuality of problem is caused by increasing the crime rate during last years in Georgia. In 2017 the total number of crimes was 37944 and in 2018 was increased dramatically – 58412, therefore it became of a great importance to study how to decrease this rate. Because social control is the way which stimulates crime rate in reducing the question is posed: maybe inappropriate functioning of mechanisms of social control is causing the enlargement of this number?! For answering this question is analysed different theories and stood out one aspect – what is fostering the strength of social control? This is effective functioning of social integration, which, therefore is supported by strong dispositional sets.

Consequently establishing strong dispositional sets are causing the stability of behavioural models and for strong integration, notably is essential vigorous dispositional sets, which defines the effectiveness of social control.

შესავალი

საზოგადოება ინდივიდების გარეშე არ არსებობს, თითოეულ ინდივიდს შეაქვს თავისი წვლილი მის განვითარებაში,თუმცა თუ ის ერთსულოვანი არ იქნა, განვითარების პროცესი მნიშვნელოვნად ფერხდება. ერსულოვნებას კი უზრუნველყოფს ის სოციალური ნორმები,რაშიც საზოგადოების ღირებულებები და ქცევის წესებია გაწერილი. ხოლო როდესაც გვინდა ვისაუბროთ სოციალური ნორმების ქმედითობაზე, რადგან სოციალური ნორმების თავისთავად არსებობა არ ნიშნავს საზოგადოების ერთსულოვნების უზრუნველყოფას, სოციალური კონტროლის ასპექტები იწევს წინ და წარმოადგენს იმ მექანიზმების ერთობლიობას, რომელიც ინდივიდის კონფორმულ ქცევას უზრუნველყოფს საზოგადოებაში. მისი არასაკმარისი დონე კი იწვევს დანაშაულს, შესაბამისად, კვლევა მნიშნელოვანი ხდება სწორედ ამ კუთხით - რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ დანაშაულის რიცხვი შემცირდეს. ქართული პოპულაციისთვის, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ბოლო წლებში დანაშაულმა საგრძნობლად მოიმატა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით რეგისტრირებულ დანაშაულთა მაჩვენებელი 2017 წლიდან 2018 წლამდე 53,9%-ით გაიზარდა (სამართალდარღვევების სტატისტიკა , 2019). შესაბამისად, ისმევა კითხვა, იქნებ სოციალური კონტროლის არასაკმარისი დონე განაპირობებს დანაშაულს? გარდა ამისა, ყოველ წელს, დანაშაულის ხვედრითი წილი თბილისში გაცილებით მეტია სხვა რეგიონებთან შედარებით. 2019 წლის აპრილის მონაცემებით ეს მაჩვენებელი იყო 33,6%, შემდგომ მოსდევს დასავლეთ საქართველო 11.4%-ით, რითაც თვალსაჩინო ხდება რამდენად დიდია განსხვავება. ყოველწლიურად კი ეს მაჩვენებელი იზრდება, რის მიზეზადაც ასევე სოციალური კონტროლის არასათანადო ფუნქციონირება შესაძლოა იქნეს მიჩნეული. პირველ რიგში იმიტომ, რომ ყოველწლიურად სხვა რეგიონებიდან თბილისში ჩამოსული მოსახლეობის ხვედრითი წილი იმატებს (2017 წელს - 1 145 500, 2018 წელს- 1 158 700, 2019 წელს - 1 171 100) (სამართალდარღვევების სტატისტიკა , 2019), რის შედეგადაც ხდება ნორმების, ღირებულებების მქონე ადამიანების, სხვადასხვა კულტურული ჯგუფების ერთმანეთში აღრევა და დეზორგანიზებულობის დონე იზრდება,

შესაბამისად, არსებული სოციალური კონტროლი აღარაა ქმედითი. თუმცა ნაშრომის პირველადი მიზანი არაა გაარკვიოს რის გამო აღარაა ქმედითი სოციალური კონტროლი, ან იყო საერთოდ ქმედითი ან არსებობდა კი მისი მექანიზმები მისი ქმედითობის დაკარგვამდე, არამედ - რა განსაზღვრავს, რა განაპირობებს მის ეფექტურობას, რა შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ სოციალურმა კონტროლმა იფუნქციონიროს სათანადოდ.

სოციალური კოტროლი წინამდებარე ნაშრომში განხილულია, როგორც თეორია, რომელიც დანაშაულის შეკავებას უწყობს ხელს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ქმედითია, ხოლო როდესაც შესაბამისად არ მუშაობს - დანაშაულის მაჩვენებლის ზრდას. თუ ვამბობთ, რომ სოციალური კონტროლის დონე არასაკმარისია საზოგადოებაში, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რა არის საჭირო მისი მაღალი დონის უზრუნველსაყოფად - ესაა სოციალური რეგულაციისა და სოციალური ინტეგრაციის ურთიერთთანამშრომლობა. მხოლოდ რომელიმე ერთი ელემენტის არსებობა, მაგალითად მარტო რეგულაციის ქმედითობა ვერ უზრუნველყოფს მაღალი დონის სოციალურ კონტროლს, არამედ ორივე მათგანის სათანადოდ ფუნქციონირება. თუმცა ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ინტეგრაციული კომპონენტის მნიშვნელოვნებაზე. სოციალური რეგულაციის არარსებობის პირობებში, თუ ინტეგრაციული მექანიზმი გამართულად მუშაობს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალური კონტროლი მაინც ძლიერია, შესაბამისად, ინტეგრაციის სიძლიერე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სოციალური კონტროლის სიძლიერეს.

ნებისმიერი სოციუმი მიდრეკილია სოციალური წესრიგისკენ, რომელიც სიმწყობრეს სძენს ქაოტურ საზოგადოებას, სოციალური წესრიგის დამყარება კი სოციალური კონტროლის მეშვეობითაა შესაძლებელი, რომელიც არაა მხოლოდ ქცევის გარეგანი რეგულირება, არამედ ქცევის შიგნიდან, ინდივიდუალური კონტროლი, როდესაც პიროვნებას თავად სურს იყოს კონფორმული ნორმებისადმი, რომლის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მის მიერ დახარჯული რესურსი და ენერგია გაცილებით ნაკლებია მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზაზე. როდესაც საუბარია გარეგან რეგულაციაზე, წმინდად მოიაზრება ინდივიდუალური ქცევის სამართლებრივი და ნორმატიული რეგულირება უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით, მაგალითად სამართალდამცავი

სისტემა, რომელიც იძულების გამოყენებით უზრუნველყოფს კონფორმულ ქცევას, თუმცა გაცილებით საინტერესოა ინტეგრაციული კომპონენტი, როდესაც ინდივიდები იშინაგნებენ ნორმებს და იქმნიან კონფორმული ქცევის განწყობებს, რაც გამუდმებით უზრუნველყოფს მათ კონფორმულ ქცევას სოციალური რეგულაციის არარსებობის პირობებშიც კი, თუმცა მხოლოდ ერთი - ინტეგრაციული ან რეგულაციური კომპონენტის არსებობა ვერ განაპირობებს ნორმატიულ ქცევას, არამედ საჭიროა ორივე მათგანის თანაარსებობა. შესაბამისად, სოციალური კონტროლი უზრუნველყოფს არა მარტო ნორმატიულ-არამედ დევიაციურ ქცევაზე პასუხსაც. ინდივიდში ინტეგრირებული კომპონენტის განვითარება არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ნორმატიული ქცევა წახალისდება, არამედ - დევიაციური ქცევაც არ აღმოცენდება.

ნაშრომი ფარავს სოციალური სისტემის, სამართლის, ნორმის, სამართლებრივი კულტურის, მართლშეგნების ცნებებს, ასევე განხილულია სოციალიზაციის, ნორმატიული განწყობების ჩამოყალიბების, ნორმების ინტერნალიზების პროცესი, ხოლო როდესაც ვსაუბროთ ნორმების ინტერნალიზაციაზე, უნდა აღინიშნოს, რომ განწყობები წარმოადგენენ უკვე ინტერნალიზებულ ნორმებს ინდივიდში და რომლებიც არსებობენ ფიქსირებული ფსიქიკური წარმონაქმნებს სახით. შესაბამისად, მათ სხვადასხვა ფორმის არსებობა გვაძლევს სხვადასხვა სახის ქცევას. ამ მხრივ კი მნიშნელოვანია გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან სიტუაციური, ფიქსირებული და დისპოზიციური განწყობები და გამოიყოს ქცევები, რასაც ისინი გვაძლევენ შედეგად.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი არის იკვლიოს, თუ რა როლს თამაშობს სოციალური კონტროლი დევიაციურ ქცევაში, კერძოდ კი დანაშაულში, მის ბლოკირებაში. გამომდინარე იქიდან, რომ დევიაციური ქცევა ნებისმიერი საზოგადოებისათვის პრობლემატური საკითხია, მასსა და სოციალურ კონტროლს შორის კავშირის კვლევა საშუალებას მოგვცემს შედარებით ცხადად დავინახოთ ბაზისები, რომლებიც მათ უდევთ საფუძვლად.

ნაშრომის ამოცანებია :

- სოციალური კონტროლის დეფინიციების და მასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა
- მიმოიხილოს სოციალური კონტროლის შემაკავებელი ზემოქმედება დანაშაულზე
- რა უზრუნველყოფს სოციალური კონტროლის ეფექტურობას
- რითია განპირობებული ინტეგრაციული კომპონენტის სიძლიერე
- რა განაპირობებს ნორმატიული ქცევითი მზაობების სიძლიერეს

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ჰიპოთეზა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1. „დისპოზიციური განწყობის“ საფუძველზე არსებული ნორმატიული ქცევითი მოდელები ხასიათდებიან უპირატესი სიმტკიცით და სტაბილობით, ვიდრე „სიტუაციური“ ან „არადისპოზიციური ფიქსირებული“ განწყობების საფუძველზე არსებული ქცევითი მოდელები.

აქედან გამომდინარე, ნაშრომი პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ნაწილად:

- თეორიული საკითხების მიმოხილვა
- თეორიული მონაცემების გახილვა და ანალიზი
- დასკვნა

კვლევას აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ღირებულება. ის იკვლევს კავშირებს სოციალურ კონტროლსა და დანაშაულს შორის, ასევე ხაზს უსვამს დისპოზიციური განწყობების როლს ინდივიდის განვითარებაში, გვიჩვენებს მის უპირატესობას ჩვეულ ფიქსირებულ განწყობასთან შედარებით და ხსნის მისი მოქმედების ფსიქოლოგიურ მექანიზმებს. ასევე გვთავაზობს გზას, რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ გაძლიერდეს სოციალური კონტროლი, რომელიც, თავის მხრივ, აკავებს დანაშაულს.

თავი 1. სოციალური კონტროლის დეფინიცია

ერთი მხრივ არსებობს მიზეზები, რაც იწვევს დანაშაულს, მაგალითად ეკოლოგია, სოციუმი, ბიოლოგიური მახასიათებლები და მეორე მხრივ - მიზეზები, რომლებიც, პირიქით, აკავებენ დანაშაულის აღმოცენებასა თუ მის განვითარებას. შესაბამისად, არსებობს დანაშაულის მაპროვოცირებელი და მისი შემაკავებელი თეორიები. სოციალური კონტროლი დანაშაულის შემაკავებელ თეორიებს მიეკუთვნება.

ზოგადად, ტერმინი კონტროლი ინგლისურ ენაში დადებითი მნიშვნელობით გამოიყენება და ნიშნავს რაღაცის მართვას, დახელოვნებას (Boudon & Bourricaud, 2003). ხოლო ტერმინი სოციალური კონტროლი თავდაპირველად სოციოლოგიური კონცეპტს წარმოადგენდა, რომელიც შემოთავაზებული იყო Small-ისა და Vincent-ის მიერ სოციოლოგიურ ლიტერატურაში, თუმცა იდეა სავარაუდოა, რომ აღებული ყოფილიყო Comte-დან და მათთვის ცნობილი გახდა მხოლოდ Ward-ის ფილოსოფიური ნაწერებიდან (L. F. Ward, 1883; Auguste Comte, 1830-42; Small and Vincent, 1894; ციტირებულია წყაროში (Hollingshead, 1941)). აღნიშნული კონცეპტი გულისხმობდა „საზოგადოების უნარს, უზრუნველეყო საზოგადოებრივი წესრიგი ყოველგვარი [ექსპლიციტური] იძულებისა თუ ძალადობის გამოყენების გარეშე“, შესაბამისად, ეს არის „საზოგადოებების სოციალური კონდიცია, რომელიც დაფუძნებულია კონსესუსის მაღალ დონესა და ჰარმონიულ სოციალურ ურთიერთობებზე“ (Deflem, 2015, გვ. 30). George Herbert Mead-სთვის სოციალური კონტროლი იყო „ინდივიდის ქცევის დაკავშირება სოციალურ საგნებთან“ (Mead G. H., 1925, გვ. 273). ინდივიდის ქცევა კი განპირობებულია სელფის არსებობითა და კონკრეტულად, მისი ორი სახით : მე-ობიექტი (“me”) და მე-სუბიექტი(“I”). მე-ობიექტი არის პასიური ნაწილი, როდესაც მე-სუბიექტი არის სელფის აქტიური და უნიკალური კომპონენტი. აქედან გამომდინარე, სოციალური კონტროლი არის ინდივიდის ინტეგრაცია საზოგადოებასთან სელფის ცნების ფარგლებში - me-სა და I-ს ურთიერთქმედებით განპირობებული აქტი (Deflem, 2015, გვ. 31) (Mead G. H., 1934). Reiss მიიჩნევდა, რომ

სოციალური კონტოლიი „ ეს არის სოციალური ჯგუფებისა და ინსტიტუტების უნარი, უზრუნველყოს ნორმებისა და წესების ეფექტურობა“ (Reiss, 1951). თუმცა სოციოლოგიაში ყველაზე გავრცელებული და ფართოდ გამოყენებადი დეფინიცია ეკუთვნის Edward Alsworth Ross-ს - იდეას ავითარებს კონსესუსის ცნებიდან, რომელიც სოციალური წესრიგის მთავარ ელემენტად მიაჩნია, შესაბამისად, სოციალური კონტროლი გააზრებულია,როგორც იძულებითი კონტროლის სრულიად საპირისპირო რამ. მისი ცენტრალური ფუნქცია არის სოციალური წესრიგის პირობებში დაამყარონ ჰარმონიული კავშრები საზოგადოების სხვადასხვა წევრს შორის. ასევე ესაა სოციალური დომინირების ერთ-ერთი ფორმა,რომელიც სოციალური გავლენებისგან განსხვავებულია. სოციალური გავლენა არის დომინირება ჯგუფის წევრებზე ,რომელთაც ისინი ეკუთვნიან და რომელიც ამ ჯგუფის წევრობისა და მათთან სოციალური კონტაქტის შედეგია, მაშინ როდესაც სოციალური კონტროლი არის დომინირება/გავლენა ინდივიდებზე ჯგუფის საშუალებით, რომელიც ორიენტირებულია ერთმანეთთან კონფლიქტში არსებული ინტრესებისა და აქტივობების ჰარმონიზირებისკენ (Deflem, 2015) (Ross, Social control; a survey of the foundations of order, 1901). ესაა “ჯგუფის დომინირება ინდივიდის მიზნებსა და ქცევაზე,რომელიც ნაწილობრივ შენარჩუნებულია განსაზღვრული ორგანოების მიერ, ფორმალურადაა დადგენილი, ასევე გამყარებულია საზოგადოებრივი ნებით და ნაწილობრივ შენარჩუნებულია არაფორმალური თვითნებური აგენტების მიერ, რომლებიც ცნობიერად თუ არაცნობიერად ემსახურებიან სოციალურ ინტერესს“ (Ross, 1896, გვ. 519). ასევე Ross აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში არსებული სოციალური ინსტიტუტები ემსახურებიან სოციალური კონტროლის ინსტრუმენტის ფუნქციას, შესაბამისად, ხაზგასასმელია აღნიშნული ინსტიტუტების ძალა და მნიშვნელობა საზოგადოებაში „კონსესუსის“ შესანარჩუნებლად (Ross, Social control; a survey of the foundations of order, 1901). როგორც აღნიშნულიდან ჩანს, კონცეპტი თავიდან მხოლოდ გულისხმობდა საზოგადოების უნარს დაერეგულირებინა საკუთარი თავი (Janowitz, 1975), ხოლო მოგვიანებით შეიძინა კონფორმულობისა და დომინირების ელემენტები. სოციალური კონტროლი გახდა იმ „მატერიალური და არამატერიალური რესურსების ნაკრები, რომელიც საზოგადოებას უჭირავს ხელში იმისათვის, რომ თავისი წევრების

კონფორმული ქცევა უზრუნველყოს გაწერილი და სანქციონირებული წესებითა და პრინციპებით“ (Boudon & Bourricaud, 2003, გვ. 331). სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალური კონტროლი არის „საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილება, შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ ან დაარეგულირონ ინდივიდებისა და ჯგუფების ქცევა“ (VandenBos, 2015, p. 993) ანუ იმ მექანიზმების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ნორმატიულ ქცევას. შესაბამისად, სოციალური კონტროლის არსებობის გარეშე საზოგადოებას საზოგადოების არსის შენარჩუნება გაუჭირდება, რადგან ეს არის ის ელემენტი, რაც მათ კონფორმულობისა და ნორმატიული ქცევისკენ მოუწოდებს. შესაბამისად, თუ ის არ მუშაობს, დანაშაულის კონტროლიც ვერ ხდება. პარსონსი კი განმარტავდა სოციალურ კონტროლს, როგორც „პროცესს, რომლის დროსაც სანქციების დადგენის მეშვეობით დევიანტურ ქცევას წინააღმდეგობას უწევენ[1] და სოციალური სტაბილობა შენარჩუნებულია“ (Abercrombie, Hill, & Turner, 1994, გვ. 384) (Parsons, 1951, გვ. 141). სოციალური კონტროლის კიდევ ერთმა ასპექტმა წამოიწია წინ - სოციალური კონტროლი არის ის მექანიზმი, რომელიც საზოგადოების სტაბილობას უწყობს ხელს, შესაბამისად, როდესაც განვითარებაზე ვსაუბრობთ პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ სოციალური კონტროლის მაღალი დონის უზრუნველყოფაზე, რადგან მის გარეშე საზოგადოების ფუნქციონირება შეუძლებელია.

1.1 სოციალური კონტროლის ტიპები

სოციალური კონტროლის ტიპები,ისევე როგორც მისი დეფინიცია სხვადასხვა ავტორთან განსხვავებულია,თუმცა ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ფორმალური და არაფორმალური სოციალური კონტროლი (Ross, 1896). ფორმალური კონტროლი მოიაზრებს ინდივიდის ქცევის კონტროლს უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან, რომლის ფორმალური აგენტებია - კანონი, ჯარი, სასჯელი, კონსტიტუცია,

[1] „Counteracted“ - ეს არის ქმედება, რომლითაც ცდილობენ შეამცირონ ან გაანეიტრალონ ისეთი რაიმის ზეგავლენა, რაც შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს. იხ. ბმული - https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/counteract

პოლიცია და სხვ.. რაც შეეხება არაფორმალურ კონტროლს, ეს არის ქცევის კონტროლი არაფორმალური სოციალური აგენტების მიერ, როგორებიცაა - მორალი, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, სოციალური ნორმები და ასე შემდეგ (Ross, 1896). Reiss (1951) ხაზს უსვამს პიროვნული და სოციალური კონტროლის გავლენას მოზარდის დელიკვენტობაზე. და აღნიშნავს, რომ პიროვნული კონტროლი არის „ინდივიდის უნარი თავი შეიკავოს იმგვარი ქმედებებისაგან, რომლებიც კონფლიქტში მოდიან საზოგადოების ნორმებსა და წესებთან“ (Reiss, 1951, გვ. 196). მის მიერ შემოთავაზებული სოციალური კონტროლი დაყოფილია ფორმალურ და არაფორმალურ კონტროლად, რომლიდანაც პირველი გულისხმობს სამართლებრივი სისტემის მხრიდან რეგულირებას, მეორე კი თანატოლების, ოჯახისა და მასწავლებლებიდან. ხოლო დელიკვენტობას Reiss განიხილავს, როგორც პერსონალური და სოციალური კონტროლის წარუმატებლობის შედეგს, არა რომელიმე ერთის,არამედ ორივეს არაეფექტურად ფუნქციონირების შედეგი (Reiss, 1951).

Nye-ს კონტროლის თეორია (1958) უფრო მოცულობითია და გამოყოფს 4 სახის კონტროლს (Wells & Rankin, 1988, გვ. 265):

1. პირდაპირი კონტროლი, რომელიც დაფუძნებულია დასჯის ან წახალისების მუქარაზე,რომლის შედეგია კონვენციური ნორმებისადმი მორჩილება.
2. არაპირდაპირი კონტროლი, რომელიც დამყარებულია ინდივიდისთვის მნიშნელოვან სხვებთან (განსაკუთრებით მშობლებთან) მიჯაჭვულობის ან იდენტიფიკაციის ეფექტურად ჩამოყალიბებაზე.
3. ინტერნალიზებული კონტროლი, რომელიც დაფუძნებულია კონფორმულობის აუტონომიური პატერნის განვითარებაზე და მოთავსებულია ინდივიდის პიროვნულობაში, საკუთარი თავის შესახებ რწმენებსა და ცნობიერებაში.
4. კონტროლი დევიაციური ან კონფორმული ქცევის შესაძლებლობებზე, რისი მეშვეობითაც ნორმებისადმი მორჩილება არის კონკრეტული არჩევნის თუ ალტერნატივის შეზღუდვის შედეგი.

აქედან მას პირდაპირი კონტროლი მიაჩნდა ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად და აღნიშნავდა, რომ ის შესაძლოა უამრავი ფორმით გამოიხატოს, როგორიცაა ფორმალური კანონები ან არაფორმალური წეს-ჩვეულებები და, რა თქმა უნდა, ერგება სხვადასხვა სოციალურ როლს - პოლიცია, მასწავლებელი, თანაკლასელები. თუმცა პირდაპირი კონტროლის ყველაზე მნიშვნელოვანი აგენტი სწორედ ოჯახია.

Hirschi-ს სოციალური ინტეგრაცია შეიძლება ითქვას, რომ ფარავს Nye-ს თეორიის ასპექტებს. მაგალითად, არაპირდაპირი კონტროლი პრაქტიკულად ფარავს Hirschi-ს მიჯაჭვულობის კომპონენტს, თუმცა მისი თეორია აგებულია პიროვნების კავშირებზე/ბმებზე საზოგადოებასთან. ის მიიჩნევს რომ დელიკვენტური ქცევა არის შედეგი სწორედ აღნიშნული კავშირების შესუსტების ან რღვევის (Hirschi, 2009, გვ. 3;16) (Hirschi T. , 2017). შესაბამისად კითხვა, რომელზეც თეორია პასუხობს არის არა ის,თუ რატომ ჩადიან სხვები დანაშაულს, არამედ - ჩვენ რატომ არ ვაკეთებთ იგივეს (Hirschi, 2009, გვ. 34). პასუხი კი მდგომარეობს ინდივიდების კონვენციური სისტემებისადმი არსებულ კავშირებში. ესენია : მიჯაჭვულება, ვალდებულება, ჩართულობა და რწმენები (Hirschi, 2009; Pratt, et al., 2011) (Wiatrowski, Griswold, & & Roberts, 1981).

1. მიჯაჭვულობა არის სხვათა მოსაზრებების მიმართ სენსიტიურობა (Hirschi, 2009, გვ. 16). ეს არის „ფსიქოლოგიური დამოკიდებულება“ (Pratt, და სხვ., 2011, გვ. 58) პროსოციალური სხვებისა და ინსტიტუტების მიმარ. Hirschi აღნიშნავს, რომ მიჯაჭვულობა Reiss-ის მიერ გამოყოფილი პიროვნული კონტროლის ერთერთ ასპექტს წარმოადგენს (Hirschi, 2009, გვ. 19). მიჯაჭვულობა შესაძლოა იყოს სამი სახის (Costello, 2010):

    I. მიჯაჭვულობა მშობლებისადმი,რომელიც თავის მხრივ კვლავ სამ ასპექტს მოიცავს: ვირტუალური სუპერვიზია - რამდენად აქვს მშობელს ცნობა შვილის ადგილმდებარეობისა და მისი სამეგობროს შესახებ. კომუნიკაციის ინტიმურობა - რამდენად ხშირად ხდება მშობელსა და შვილს შორის სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა. და მესამე,

ეფექტური იდენტიფიკაცია - რამდენად აქვს სურვილი მოზარდს დაემსგავსოს მშობელს. შესაბამისად, რაც მეტად სურთ დაემსგავსონ მშობლებს და რაც უფრო ძლიერია აღნიშნული კავშირი მათდამი, მით უფრო აფასებენ მათ მოსაზრებებსა და დელიკვენტობის მაჩვენებელიც ნაკლებია.

II. მიჯაჭვულობა სკოლისადმი - რაც უფრო მეტადაა მიჯაჭვული სკოლას, უფრო მეტია ვალდებულების გრძნობა/პატივსცემა მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის მიმართ. აქ გამოიყო ორი ასპექტი, ესაა აკადემიური უნარები და შესრულების დონე. რაც მაღალია სტუდენტის აკადემიური უნარები, უფრო უკეთესია მისი შესრულების ხარისხი სკოლაში და უფრო მეტად ჯილდოვდება კარგი შესრულებისათვის. ვისაც სკოლა მოსწოდა ისინი ნაკლებ იყვნენ მიდრეკილნი დანაშაულებრივი ქცევისკენ.

III. მიჯაჭვულობა მეგობრებისადმი - ბიჭები, რომელთაც დელიკვენტი მეგობრები ჰყავთ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი დელიკვენტური ქცევებისკენ, რადგან ისინი ასწავლიან შესაბამის ღირებულებებსა და ნორმებს ინდივიდებს.თუმცა კონტროლის თეორია ჯგუფებისადმი მიკუთვნებულობას ხედავს,როგორც დელიკვენტობის შედეგს და არა-მიზეზს. რაც მოიაზრებს,რომ მსგავსი ინდივიდები მუდამ ასიმილირდებიან და არაა აუცილებელი, რომ ზეგავლენა მოახდინონ ერთმანეთზე ერთ ჯგუფში გაწევრიანების შემდგომ.

2. ვალდებულება დაკავშირებულია საგანმანათლებლო და პროფესიულ მიზნებთან. შესაბამისად, ის მოზარდები, რომელთაც მაღალი მისწრაფებები აქვთ,

აუცილებლად ნაკლებ იქნებიან ჩართულნი დელიკვენტურ ქცევაში, რადგან ვალდებულებას გრძნობენ აღნიშნული მიზნებისადმი. გარდა ამისა, მხოლოდ სურვილი არაა მნიშვნელოვანი, არამედ აქტიურად უნდა შრომობდნენ კიდეც მათ მისაღწევად.

3. ჩართულობა მოიაზრებს კონვენციურ საქმიანობებში ინდივიდის მონაწილეობის ხარისხს. Hirschi როგორც განიხილავს, ბიჭები,რომლებიც გაცილებით მეტ დროს ატარებენ კონვენციურ აქტივობების განხორცილებაში, უფრო ნაკლებად არიან მიდრეკილნი დელიკვენტური ქცევისკენ. თუმცა მისი კვლევით ეს არ დადასტურდა, კავშირი დადგინდა მხოლოდ დავალებისთვის დათმობილ დროსა და დელიკვენტური ქცევის მაჩვენებელს შორის, რადგან დროითი ფაქტორი კავშირში იყო კონვენციური მიზნებისადმი ერთგულებასთან.
4. რწმენები კონვენციური ნორმებისადმი გულისხმობს, როდესაც ინდივიდს სწამს საზოგადოებაში გავრცელებული ღირებულებათა სისტემის. აქ იგულისხმება არა უბრალოდ რწმენა წესების, არამედ მაშინაც კი სწამს ადამიანს,როდესაც ის არღვევს ნორმებს. შესაბამისად, მაშინაც კი როდესაც არღვევს, მან იცის,რომ აღნიშნულ ქცევას შესაბამისი რეაქცია/სანქცია მოჰყვება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. კვლევითაც დადგინდა, რომ ინდივიდები, რომლებიც პოლიციას სცემდნენ პატივს უფრო ნაკლებად იყვნენ მიდრეკილნი დელიკვენტური ქცევებისადმი.

აქედან გამომდინარე, თუ აღნიშნული კომპონენტები არსებობენ, მაშინ ინდივიდები უფრო ნაკლები ალბათობით ჩაიდენენ დანაშაულს სხვების პატივისცემისა და სიყვარულის დაკარგვის შიშის გამო. რეალურად ეს კავშირები არიან ის შემაკავებელი ფაქტორები,რომელიც არაპირდაპირ ახდენენ ზეგავლენას ინდივიდების ქცევაზე.

1.2 სოციალური ინტეგრაცია და სოციალური რეგულაცია დიურკჰემთან

Durkheim-თან სოციალური ინტეგრაცია და რეგულაცია არის გამოყენებული თვითმკვლელობის ასახსნელად. მას მიაჩნია სუიციდი, როგორც ინდივიდის საზოგადოებასთან არსებული სხვადასხვა დონის „საერთო ცნობიერების“ შედეგი (Durkheim, 2005). ის არ განიხილავს კონკრეტული ინდივიდების თვითმკვლელობას, არამედ თავად მოვლენას, აქტს (Johnson, 1965) და აღნიშნავს, რომ დამოკიდებულია ორი დამოუკიდებელ ცვლადზე, ორ „სოციალურ პირობაზე“ (Johnson, 1965, გვ. 876) : სოციალურ რეგულაციასა და სოციალურ ინტეგრაციაზე. საზოგადოება, ჯგუფები არიან ინტეგრირებულნი, როდესაც მათი წევრები ხასიათდებიან „საერთო ცნობერებით“, რომელიც გაზიარებული რწმენებისა და სენტიმენტების შედეგად ყალიბდება. ინდივიდებს აქვთ საერთო მიზნისადმი ერთგულება და ინტერაქცია, რაც ასევე ხელს უწყობს აღნიშნული ცნობიერების ჩამოყალიბებას (Johnson, 1965) და ახასიათებს სტაბილური და მყარი,სანდო ურთიერთობების ტერმინებით (Gibbs, 2000, გვ. 365). ინტეგრირებულობის ყველაზე მაღალი დონე არის ალტრუიზმი, მისი მეორე პოლუსი კი - ეგოიზმი (Durkheim, 2005), ხოლო ეგოისტური სუიციდი - ინდივიდის საზოგადოებასთან ინტეგრაციის ნაკლებობის შედეგია, როდესაც საერთო ცნობირება სუსტდება, ცოტაა გზიარებული რწმენები და სენტიმენტები, ინდივიდები უფრო მეტად საკუთარ ინტერესს ანიჭებენ უპირატესობას და თავს უძღვნიან არა სოციუმს, არამედ- საკუთარ კეთილდღეობას (Johnson, 1965). რაც შეეხება რეგულაციას, ეს არის პროცესი, როდესაც ინდივიდის საჭიროებები და ქცევები გარედან რეგულირდება საზოგადოების წევრების მიერ, მას მნიშვნელოვნად ძლიერი გავლენა აქვს ინდივიდებზე, თუმცა „მას უნდა დაემორჩილონ პატივისცემით და არა-შიშით“ (Durkheim, 2005, გვ. 212). ხოლო ანომიური სუიციდი არის სწორედ საზოგადოების მიერ ინდივიდის რეგულირების ნაკლებობით დამდგარი შედეგი (Durkheim, 2005, გვ. 219). რა თქმა უნდა, მასაც აქვს საპირისპირო პოლუსი, ალტრუისტული და ეგოისტური სუიციდის მსგავსად, რომელიც არის ფატალისტური, რომლის დროსაც მაღალია რეგულაციის დონე - გადაჭარბებულია. ოთხივე პოლუსის შემთვევაში სუიციდის მაჩვენებელი მაღალია, რადგან „კოლექტიური

ცნობერება“ ან ძალიან სუსტია ან პირიქით, ზედმეტად ძლიერია მათთვის, შესაბამისად, შედეგი არის სუიციდი. ძალიან სუსტი როდესაც არის,აშკარაა, რომ ვალდებულებები,პასუხისმგებლობა საზოგადოების წევრების მიმართ სუსტდება და საერთოდ ქრება, აღარ არსებობს გაზიარებული რწმენები და საერთო მიზნები, რის შედეგადაც ინდივიდისთვის შემაკავებელი მექანიზმი საზოგადოებაში იშლება. და პირიქით, როდესაც ზედმეტად ძლიერია რეგულაცია, ინდივიდის მოთხოვნილებები „ძალადობრივად“ იბლოკება გადაჭარბებულად შემზღუდველი დისციპლინების გამო (Durkheim, 2005, გვ. 239; Gibbs, 2000, გვ. 365). შესაბამისად, მხოლოდ საშუალო დონის რეგულაციისა და ინტეგრაციის შემთვევაში საუბრობს დიურკჰემი სუიციდის დაბალ მაჩვენებელზე და აღნიშნავს, რომ არც ერთი საზოგადოება ამ კომპონენტის გარეშე არ არსებობს (Johnson, 1965).

ანუ, რელურად, მან გამოჰყო სოციალური კონტროლის ტიპები, თუმცა ამ სათაურის ქვეშ არ გაუერთიანებია. განიხილავდა კონტროლის ფორმებს, რომლითაც სხვადასხვა სახის სუიციდს ხსნიდა, თუმცა წლების გასვლის შემდგომ მისი მოსაზრებები დაიხვეწა და გადაიქცა კონტროლის ტიპებად, რომელშიც მოიაზრებოდა საზოგადოებრივი რეგულირება და მასთან ინტეგრირებულობის ხარისხი, როგორც დანაშაულის საუკეთესო შემაკავებელი მექანიზმი. რეალურად, თუ რეგულაცია არის გარედან კონტროლი, ინტეგრაციაც გარედან კონტროლს წარმოადგენს - საზოგადოების მიმართ არსებული „სენტიმენტები“, თუ Durkheim-ს დავუჯერებთ, კავშირები, თუ Hirschi-ს მივიღებთ მხედველობაში, აიძულებენ ინდივიდს მოიქცნენ მათი მოლოდინების შესაბამისად, თუმცა ინტეგრაციაში მხოლოდ საზოგადოების მხრიდან გარეგან იძულებას ვერ მოვიაზრებთ, რადგან მართალია სოციუმი უბიძგებს კონფორმულ ქცევისკენ, თუმცა ინდივიდი არის ის, ვისაც კონფორმული ქცევის განხორციელება ევალება. შესაბამისად, საზოგადოება ქმნის კავშირებს და თავად ინდივიდი აკავებს შიგნიდან დანაშაულებრივ ქცევას. აქედან გამოდინარე სოციალური კონტროლის დეფინიცია შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: სოციალური კონტროლი არის იმ შინაგანი და გარეგანი მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ნორმატიული ქცევის განხორციელებასა და დანაშაულებრივი ქცევის შეკავებას. გარეგან მექანიზმებში

მოიაზრება ქცევის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი რეგულირება, შინაგანში კი ის ფსიქიკური წარმონაქმნები, რომლებიც აუცილებელია შესაფერისი ქცევის აღსაძრავად.

1.3 სოციალური კონტროლის დეფინიცია ნაშრომში

როგორც ვხედავთ სოციალური კონტროლის გააზრება სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვაგვარია, თუმცა წინამდებარე ნაშრომისთვის სოციალური კოტროლი არის იმ რეგულაციური და ინტეგრაციული მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის შეკავებასა. რეგულაცია აღნიშნულ ნაშრომში გააზრებულია, როგორც მხოლოდ სამართლებლივი რეგულირება უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან ანუ ეს არის ქცევის გარეგანი კონტროლი. ხოლო ინტეგრაცია - ქცევის შინაგანი კონტროლი, რომელშიც იგულისხმება Hirschi (1969)-ს მიერ შემოთავაზებული ინტეგრაციის კომპონენტები (კავშირები საზოგადოებასთან) და ინდივიდის უნარი, გაკონტროლდეს ქცევა როგორც არაცნობიერ, ასევე ცნობიერ დონეზე.

ხოლო იმისათვის, რომ გავიგოთ სრულყოფილად სოციალური კონტროლის მნიშვნელობა, აუცილებელია მიმოვიხილოთ ნორმა, რომლის გარეშეც არც ერთი სოციალური აქტივობა არ ხორციელდება.

თავი 2. ნორმა

ნორმები არსებობენ საზოგადოებებში და როგორც უკვე აღინიშნა, უზრუნველყოფენ სოციალურ აქტივობებს. შესაბამისად, ისინი არიან სოციალური სისტემის შემადგენელი ნაწილები და ასევეა სამართალიც, როგორც ფორმალური ნორმების ძირითადი წყარო.

2.1 სოციალური სისტემა

სოციალური სისტემა Parsons-ის განმარტებით განისაზღვრება, როგორც „ორი ან მეტი აქტორის ჩართულობა მეტნაკლებად სტაბილური ინტერაქციის პროცესში“. (Parsons, 1951, ციტირებულია წყაროში Abercrombie, Hill, & Turner, 1994, გვ. 361). თვითონ სისტემის ცნება მოიცავს ნაწილების ურთიერთქმედებას, სოციალური სისტემა კი გულისხმობს, რომ ამ ნაწილებს შორის ინტერაქციულ ურთიერთობას ისეთ გარემოში, სადაც თითოეული ერთმანეთთანაა დაკავშირებული და თავისი ფუნქცია გააჩნია. (Parsons, 1951, გვ. 5-6) თუმცა აქ საყურადღებოა, რომ მხოლოდ ინტერპერსონალურ ურთიერთქმედებას არ მოიაზრებს აღნიშნული კონცეპტი, არამედ ეს არის ჯგუფების, ინსტიტუტების, საზოგადოებების ურთიერთქმედება, რომელთაც აქვთ მკაცრად განსაზღვრული საზღვრები, საერთო მიზნით არიან გაერთიანებულნი და იბრძვიან ექვილიბრიუმის (Abercrombie, Hill, & Turner, 1994, გვ. 392) მისაღწევად (ჰომეოსტაზისთვის) (Luhmann, 1995). ანუ საზოგადოების შიგნით არსებული კავშირები/ბმები ქმნიან სოციალურ სისტემას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ადამიანთა ერთობა არ მოიაზრება მის ცნებაში, არამედ ეს არის „ინტერაქციისას ნორმების ერთიანი, კომპლექსური პატერნი, რომელიც წარმოიშობა მხოლოდ ჯგუფებს შორის და მათ შიგნით“ (Timasheff, 1952, გვ. 180). აქედან გამომდინარე, როგორც ნორმებია სოციუმის განუყოფელი ნაწილი, ასევეა სოციალური სისტემის ნაწილიც, რადგან ის სხვა არაფერია თუ არა „სოციალური ურთიერთობების სისტემა“ (MacIver, ციტირებულია წყაროში Timasheff, 1952,გვ.179). ხოლო სოციალური ურთიერთობების აღნიშნული სისტემა ნორმების გარეშე ვერ ფუნქციონირებს.

სოციალური კონტროლი კი სწორედ სოციალურ სისტემას, სამართალს ემსახურება, ის უზრუნველყოფს ნორმების ქმედითობას. ის არის მექანიზმი, რომელიც ნორმას

ასრულებინებს საზოგადოებას. ჯერ უბრალოდ ამოწმებს რამდენად სრულდება ნორმები და მათი შესრულება/არშესრულების შემთხვევაში შესაბამისად რეაგირებს მასზე შესაბამისი დადებითი ან უარყოფითი სანქციით.

2.2 სამართალი

რადგან სოციალური სისტემა ურთიერთობებისა და ნორმების ნაკრებს წარმოადგენს, სამართალი არის სწორედ იმ წესების ნაკრები,რაც საზოგადოების შიგნით ურთიერთობებს არეგულირებს. ის ერთადერთი მარეგულირებელი მექანიზმი არ არის, თუმცა კი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრია.

სამართალი, ზოგადად, არის „რეჟიმი, რომელიც განკარგავს ადამიანის აქტივობებსა და ურთიერთობებს იძულების/ძალის სისტემატური გამოყენების ან სოციალური ზეწოლის გზით პოლიტიკურად ორგანიზებულ საზოგადოებაში“ (Garner, 2009, გვ. 962). ანუ ესაა „წესების ნაკრები, რომელთაც აქვთ იძულების უფლებამოსილება, რათა აკონტროლონ ნებისმიერი საზოგადოება“ (Martin, 2006, გვ. 280). გამომდინარე განმარტებებიდან, სამართალი არის კონკრეტული საზოგადოებისა თუ კულტურის კუთვნილება, შესაბამისად, მისი არსიც საზოგადოების ცვალებადობასთან ერთად მონაცვლეობს. განმარტებები, ორ ძირითად მიმართულებად იყოფა : ერთი, რომელიც ორიენტირდება მის შინაარსობრივ ასპექტებზე და მეორე- სამართლის ფორმალურ ნიშნებზე. შინაარსობრივი ცნების მიხედვით, „სამართალი შესასრულებლად სავალდებულოა იმიტომ, რომ 1) ადგენს საზოგადოდ „კარგ“ და მისაღებ“ ქცევის წესს; 2) სამართალი გამომდინარეობს ბუნებითი ან გონითი კანონიდან; 3) სამართალი თანაბრად ზღუდავს თითოეულის თავისუფლებას.“ (ხუბუა, 2004, გვ. 32). ხოლო ფორმალური განმარტება ორიენტირდება საკითხზე, რომ მის სავალდებულოობას უნდა განსაზღვრავდეს ფორმა და არა- ნორმის შინაარსი. ხოლო აღნიშნული ასპექტების მიხედვით კიდევ იყოფა პოზიტიურ და ბუნებით სამართლად. „ბუნებითი სამართალი მოიცავს დროისა და სივრცის გარეშე არსებულ ქცევის ობიექტურად

სავალდებულო წესებსა და პრინციპებს. ეს პრინციპები უფრო მაღლა დგას, ვიდრე პოზიტური სამართალი“ (ხუბუა, 2004, გვ. 37). პოზიტიური სამართალი კი არის „სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა“ (ხუბუა, 2004, გვ. 33). აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რამდენად მრავალფეროვანი შესაძლოა იყოს სამართლის ცნება, თუმცა არსი ერთი რჩება- ესაა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესების,ნორმების ნაკრები, რომელიც სავადებულოა შესასრულებლად საზოგადოების თითოეული წევრისთვის. „სამართალი არის სისტემა ზოგადსავალდებულო, ფორმალურად განსაზღვრული სახელმწიფოს მიერ დადგენილი, სანქციონირებული და გარანტირებულლი ნორმებისა, რომელიც გამოხატავს კანონში განსახიერებულ სახელმწიფოებრივ ნებას და წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმატიულ რეგულატორს“ (Алексеев, С. С., 1999 ციტირებულია წყაროში ალფაიძე, 2009, გვ. 124). მისი დანიშნულება, შესაბამისად არის საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება სამართლებრივი ნორმებით, „უზრუნველყოს საზოგადოებრივი ორგანიზმის მტკიცე,მუდმივი და უწყვეტი ფუნქციონირება“ (ალფაიძე, 2009, გვ. 157) „სოციალური თავისუფლების“, „სოციალური სამართლიანობის“ უზრუნველყოფა. ის „არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების საქმნობას, პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას. ის ამტკიცებს და „რეალურად გარანტირებულს“ ხდის ადამიანის „ბუნებრივ და განუსხვისებელ“ უფლებებს, როგორებიცაა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლების, ღირსების და რეპუტაციის დაცვის უფლება და ასე შემდეგ. ასევე უზრუნველყოფს პიროვნების კანონის წინაშე თანასწორობას, სამართლის ნორმების რეალიზაციას, უფლებას აძლევს ინდივიდს ისარგებლოს „სოციალური სიკეთით“ და ამასთან, ავალდებულებს, დაიცვას ის და დაემორჩილს ნორმებს (ალფაიძე, 2009, გვ. 152-153).

2.3. რა არის ნორმა?

ნორმები ინდივიდთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ისინი მიანიშებენ მათ რა არის საზოგადოებაში მიღებული და რა - აკრძალული. ის არის „ცნება, რომელიც აკონკრეტებს როგორი ქცევა არის მოსალოდნელი ინდივიდის ან ინდივიდებისგან მოცემულ ვითარებებში. პირველ რიგში მოელის ის, რომელმაც ნორმა შექმნა. რასაც მე შენგან მოველი არის ის, რაც უნდა შეასრულო“ (Homans, 1974, გვ. 96 ციტირებულია წყაროში Opp, 2015, გვ. 5). ანუ ნორმა არის საზოგადოების მიერ ის დადგენილი და აღიარებული ქცევის წესი, რომელსაც მოელიან რომ უნდა შესრულდეს (ან არ შესრულდეს). Homans-ის (Homans, 1961) მიერ გამოყოფილი ნორმის მახასიათებელია მისი ზოგადსავალდებულოობა - ყველასთვის თანაბრად სავალდებულოა მისი შესრულება. მეორე - მოლოდინი - ინდივიდები მოელიან შესაბამის ქცევას შესაბამის სიტუაციებში. ამრიგად, ნორმა შეიძლება იყოს პირობითი და საზოგადოების მიხედვით ცვალებადი. მაგალითად, მკვლელობა ომის დროს გამართლებულია. მესამე - ნორმა შეესაბამება ქცევას და არ მოიაზრებს ინდივიდების რწმენებსა თუ ატიტუდებს. თუმცა Morris-ის განმარტებით მასში აღნიშნული ორი კომპონენტი აუცილებლად მოიაზრება. და მეოთხე - აქტორებს, რომლებიც ნორმების მატარებლები (ან შემქმნელები) არიან თავად ინდივიდები წარმოადგენენ (Opp, 2015, გვ. 6). სხვა დეფინიციის მიხედვით ნორმა არის „საზოგადოდ მიღებული, სანქციონირებული დადგენილება“ (Morris, 1956, გვ. 610 ციტირებულია წყაროში Opp, 2015, გვ.6). შესაბამისად, როდესაც ინდივიდი ჯგუფის წევრია, მათ აქვს გარკვეული მოლოდინები პიროვნების მიმართ და როდესაც აღნიშნული მოლოდინები არ სრულდება ან სრულდება, შესაბამისად პასუხობენ სანქციით. თუმცა ნორმატიული მოლოდინი არ შეესაბამება სასურველობას (Opp, 2015, გვ. 6). სანქცია გულისხმობს შესაბამისი სასჯელის და ჯილდოს დაკისრებას ინდივიდზე, როდესაც შესაფერისი ქცევა სრულდება ან არ სრულდება მის მიერ. ანუ ის არ არის მხოლოდ რექცია ნორმის დარღვევაზე, არამედ რეაქცია მისი შესრულების/დაცვის შემთხვევაშიც. კიდევ ერთი განმარტების მიხედვით ნორმა არის „არაფორმალური წესები, რომლებიც ასტრუქტურირებენ ქცევას“ (Ensminger & Knight, 1997, გვ. 2 ციტირებულია

წყაროში Opp, 2015, გვ.6), მოცემულ განმარტებაში ნორმა არის მხოლოდ არაფორმალური წესების ნაკრები, რომლის შედეგი აუცილებლად ქცევაა და მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც ის ქცევას იწვევს, თუმცა აღსანიშნია, რომ რიგ ლიტერატურაში ნორმა არ მოიაზრება, როგორც მხოლოდ არაფორმალური წესების ნაკრები (Opp, 2015, გვ. 6), არამედ ნორმა არის ზოგადად დადგენილი ქცევის წესები, რომლებიც შეიძლება ფორმალურიც იყოს და არაფორმალურიც. ფორმალურ ნორმებში იგულისხმება, მაგალითად, სამართლის ნორმა, რომელიც არის „ ფორმალურად განსაზღვრული ზოგადსავალდებულო ქცევის წესი, რომელიც დადგენილი და უზრუნველყოფილია საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ, განმტკიცებულია ოფიციალურ სამართლებრივ აქტებში და მიმართულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებისკენ მათი მონაწილეების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის გზით“ (ალფაიძე, 2009, გვ. 186). სწორედ ამგვარ ნორმას, რომელიც „განმტკიცებულია ოფიციალურ სამართლებრიც აქტებში“ ეწოდება ფორმალური ნორმა. არაფორმალური, ამ კუთხით თუ მივუდგებით არის სხვა ნორმები, როგორიცაა მაგალითად, ჩვეულება, მოდა, მორალი (ხუბუა, 2004, გვ. 51). ესენი არიან ნორმები, რომლებიც, სხვა ნორმების მსგავსად არეგულირებენ საზოგადოებრივ ურიერთობებს, აქვთ განსაზღვრული ზოგადსავალდებული ქცევის წესი, თუმცა არაფორმალური. აღნიშნული ორი ტიპის ნორმა (ფორმალური და არაფორმალური) შეგვიძლია გავაერთიანოთ ერთ, სოციალურ ნორმაში. როგორც ხუბუა (ხუბუა, 2004, გვ. 51) და ალფაიძე (ალფაიძე, 2009, გვ. 186) აღნიშნავენ, სამართლის ნორმა უკვე წარმოადგენს სოციალური ნორმის სახესხვაობას და, რა თქმა უნდა, მას აქვს სოციალური ნორმისთვის დამახასიათებელი ნიშნები, თუმცა განასხვავებლებიც. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, არის სწორედ მისი ფორმალურობა, რომ ის წარმოადგენს ფორმალურად განსაზღვრულ ქცევის წესებს. „სამართლის ნორმის ფორმალური განსაზღვრულობა მდგომარეობს იმაში, რომ მათი შინაარსი გაფორმებული და განმტკიცებულია ნორმატიული სამართლებრივი აქტის მუხლებში, ხოლო შინაგანი განსაზღვრულობა იმაში, რომ სამართლის ნორმის შინაარსში ზუსტად არის ფიქსირებული როგორი უფლება-მოვალეობანი შეიძლება წარმოიშვას სამართლის ნორმის საფუძველზე. ფორმალური განსაზღვრულობის ძალით სამართლის ნორმები წარმოადგენენ თანაბარ

მასშტაბებს, რომლებიც შეეფარდებიან დეტალებით განსხვავებულ, მაგრამ არსებითად მსგავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს“ (ალფაიძე, 2009, გვ. 187).

2.3.1 სამართლის და სოციალური ნორმები

ნორმები შესაძლოა გამოიხატოს ექსპლიციტურად, როგორიცაა კანონები, თუმცა ბევრი ნორმა არაა ფორმულირებული ამგვარად და ხშირად ინდივიდებს წარმოდგენაც კი არ აქვთ მათზე. ასეთ ნორმებს ინდივიდები ავტომატურად მიჰყვებიან, განსახვავებით ფორმალური ნორმებისაგან (Opp, 2018). ფორმალური ნორმის შინაარსი გამოხატულია იმპერატიული ფორმით - როგორი სახის ქმედება მოითხოვება ინდივიდისგან და როგორი არა. ბევრი ავტორი მიიჩნევს მხოლოდ სამართლის წესებს/იმპერატიულ ნორმებს ნორმებად (Voss, 2001, გვ. 107-108) (McAdams, 1997, გვ. 340), თუმცა ნორმა მხოლოდ მისი შესრულების იმპერატიულ მოთხოვნას არ მოიაზრებს, არამედ ის მოიაზრებს „არაფორმალურ სოციალურ რეგულირებასაც, როდესაც ინდივიდები თავს ვალდებულად გრძნობენ დაემორჩილონ ნორმებს ან მოვალეობის/პასუხისმგებლობის ინტერნალიზებული შეგრძნების ან ექსტერნალური არასამართლებრივი სანქციების შიშის ან ორივეს გამო“ (McAdams,1997, გვ. 340 ციტირებულია წყაროში (Anomaly & Brennan, 2014, გვ. 264). სწორედ ეს არის სოციალურ ნორმა, რომელიც წარმოადგენს ჩვეულებაზე დაფუძნებული ქცევის წესებს და რომლებიც კოორდინირებას უწევს ინდივიდის ინტერაქციას სხვებთან. ისინი ემორჩილებიან ნორმებს, რადგან სხვების მოლოდინები მის მიმართ აიძულებს იყოს კონფორმული (Lewis, 1969 ციტირებულია წყაროში Young, 2007). რეალურად სხვადასხვა სახის ლიტერატურაში ბევრი ავტორი ცდილობს განასხვაოს ერთმანეთისაგან სამართლის და სოციალური ნორმები (Måns, 2013), თუმცა აღნიშნული არის იგივე არაფორმალური ნორმა, რომელიც ლეგალურ ნორმასთან ერთად ქმნიან ზოგადად ნორმათა სისტემას, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერი სახის ნორმა განსაზღვრავს ინდივიდის/სოციუმის ზოგად ქცევის წესს, უფრო სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ სამართლებრივი და არასამართლებრივი ნორმებია სოციალური ნორმების შემადგენელი ნაწილი. არასამართლებრივი ნორმები არის იგივე

სოციალური, არაფორმალური ნორმები, რომლებიც არაფორმალურად კონტროლდება საზოგადოების წევრების მიერ. სწორედ მაქს ვებერს აქვს გამოყოფილი სამართლის და არაფორმალური ნორმები ერთმანეთისაგან (Weber, 1978). სამართლის ნორმა კი წარმოადგენს „სპეციალიზებული აგენტების „სტაფს“, რომელიც მონიტორინგს უწევს ნორმის სამიზნე აქტორებსა და სჯის დევიაციურ ქცევას“ (Voss, 2001, გვ. 109). არაფორმალური ნორმების დაცვა კი უზრუნველყოფილია სანქციების მეშვეობით, რომელიც შექმნილია საზოგადოებაში ნორმების სამიზნე აგენტების მიერ (Voss, 2001, გვ. 109). შესაბამისად, ნორმის განმარტებაში მნიშვნელოვანია მისი როგორც ფორმალური,ასევე არაფორმალური განსაზღვრულობა. ასევე მნიშვნელოვანია აღსანიშნად, რომ „ნორმა არის სოციალური სისტემის საკუთრებაა და არა-აქტორის“ (Opp, 2018, გვ. 169), როდესაც მისი ინტერნალიზება ხდება, სწორედ მაშინ იქცევა ის ინდივიდის საკუთრებად. შესაბამისად, ნორმების ფუნქციონირების ერთი მთავარი მექანიზმი არის მათი ინტერნალიზება სოციალიზაციის პროცესში და მეორე - მათი მოცემულობა აკრძალვების/შეზღუდვების სახით (Lindenberg, 2008, გვ. 65). ის არის საშუალება,რომელიც ინდივიდებს ეხმარება ადაპტაციაში, პრაქტიკულად მისი ინსტრუმენტია. ადაპტაცია, თავის მხრივ, გულისხმობს გარემოსთან თავსებადობაში მოსვლას მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს არის „სოციალურ გარემოსთან სოციალური სუბიექტების ურთიერთქმედების ფორმა, რომლის დროსაც ხდება მის მონაწილეთა თვიშეფასების, მოთხოვნებისა და მოლოდინების თავსებადობაში მოყვანა, მისადაგება მის შესაძლებლობებთან და სოციალური გარემოს რეალობასთან-მიზნებთან, სოციალურ ნომებთან (მიზნის მიღწევის წესი) და სანქციებთან ნორმიდან გადახრისათვის“. (ნადარეიშვილი, 2007). შესაბამისად, საზოგადოება აწვდის ინდივიდს ნორმას,ნორმა, თავის მხრივ, საზოგადოებაში გავრცელებულ ღირებულებებსა და ქცევის წესებს, როგორ რეალიზდეს გარემოში, რომელიც უკვე საშუალებას იძლევა ნაკლები ენერგიის ხარჯზე, ნაკლებ დროში ადაპტირდეს, მოვიდეს გარემოსთან თავსებადობაში და დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები. ანუ, ადაპტაცია, პრაქტიკულად არის ბალანსის მდგომარეობა, რომელშიც იგულისხმება, რომ არაა განსვლა არსებულ და სასურველ მდგომარეობებს შორის ანუ მარტივად რომ ვთქვათ, განსვლა „რა მაქვს და რა

მინდა,რომ მქონდეს“-ს შორის (ნადარეიშვილი, 2007). როდესაც ინდივიდი მოდის თავსებადობაში გარემოსთან, ამ პროცესში ის იყალიბებს მოლოდინებს, რას მოელიან სხვები მისგან და თავად რას მოელის მისი ქცეებისთვის სხვებისგან. ინდივიდის მოლოდინის ფორმირება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის განსაზღვრავს სამომავლოდ მის ქცევას. თუ ინდივიდი მოელის ჯილდოს კონფორმული ქცევისთვის, ის აუცილებლად მოიქცევა კონფორმულად. მოსალოდნელი ღირებულების თეორია აინტეგრირებს პიროვნების მოტივებს (Eccles, 2009). მოლოდინის კომპონენტი ფოკუსირდება ინდივიდის რწმენებზე, რომელიც დაკავშირებულია მისი სამომავლო ქცევის აღძრასთან. ხოლო ღირებულების კომპონენტი ფოკუსირდება ვალენატობაზე, რომელიც მიბმულია ინდივიდუალურ თავისებურებებსა და იმ ჯგუფს, რომლის წევრიცაა (Magidson, Roberts, Collado-Rodriguez, & & Lejuez, 2014). ის მოქმედებს საკუთარი ღირებულებებიდან გამომდინარე,რადგან მოელის შესაფერის რეაქციას საზოგადოებისგან. ხოლო მაქსიმალურ უფლებას, რომ ველოდე, იძლევა უკვე სამართლის ნორმა (ნადარეიშვილი, 2009). ნორმის შესრულება უკვე უფლებას აძლევს ინდივიდს, ელოდოს დადებით სანქციას ან უარყოფითს - მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში. ყველა ნორმა, თავისთავად, გარკვეულ მოლოდინს გულისხმობს. თუ ალბათობა იმისა, რომ რასაც დამპირდნენ, აუცილებლად შეასრულებენ, დიდია, მაშინ მაღალია ნორმატიულად მოქცევის შანსიც. გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება ორ ფაქტორს: სავარაუდო შედეგის ფასეულობასა და ამ შედეგის დადგომის ალბათობას (Roeckelein, 1998). რაც უფრო მეტია ალბათობის ხარისხი, მით უფრო მაღალია დარწმუნებულობის ხარისხი. ინდივიდი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რაღაც კონკრეტული ქცევის შესრულებას შესაბამისი წახალისება ან სასჯელი მოჰყვება. ანუ აქ ძალიან მნიშვნელოვანია დარწმუნებულობის ხარისხი. რაც უფრო მაღალია დარწმუნებულობის ხარისხი, მით უფრო მეტია ნორმატიულად მოქცევის ალბათობა. შესაბამისად, დარწმუნებულობა,რომ ქცევას აუცილებლად სათანადო რეაქცია მოჰყვება სათანადო ორგანოებისა და საზოგადოების მხრიდან გავლენას ახდენს იმაზე,თუ რა ქცევას დაბლოკავს და რას - აღძრავს. ვთქვათ დაბლოკოს ახლანდელი არანომატიული ქცევა და აღძრას მომავალზე მიმართული ნორმატიული ქცევა შესაფერისი სანქციის მისაღებად.

შესაბამისად, ახლანდელი ტენდენცია უნდა გაიცვალოს მომავალზე, რათა განახორციელოს მიზანშეწონილი ქცევა და მიიღოს სასურველი შედეგი. დევიაციური ქცევა უნდა გააჩეროს დაპირებამ, მოლოდინმა იმისა, რომ მომავალში მის ქცევას აუცილებლად მოჰყვება შესაბამისი სანქცია, შესაბამისად ნორმატიული ქცევა წახალისდება. თუმცა პრობლემა მაშინ წარმოიქმნება, როდესაც თითოეულ ქცევას არ მოჰყვება სანქცია, დადებითი თუ უარყოფითი, არ აქვს მნიშვნელობა. როდესაც რეაგირება არ ხდება, ვერც შესაბამისი ქცევის აღძვრა ან ბლოკირება ვერ ხერხდება. აქ უკვე მნიშნელოვანია გასაზღვრა იმისა, თუ რატომ ვერ მოხერხდა შესაბამისი ქცევის აღძვრა ან ბლოკირება, შესაძლოა კონტროლის მექანიზმები არ იყო საკმარისად ძლიერი.

2.4 სანქცია

ზოგადად, ნორმის ამოქმედება დამოკიდებულია სანქციაზე. როდესაც ინდივიდები თანხმდებიან ამა თუ იმ ნორმის შესრულებაზე, მათი შესრულება სწორედ სანქციის არსებობითაა განპირობებული. ის გულისხმობს საზოგადოების რეაქციას იმ ქმედებაზე, რომელიც ნორმის შესრულებას ან არშესრულებას მოჰყვება. ესაა „ან ჯილდო იმგვარი ქმედებისთვის, რაც სწორად არის მიჩნეული ან სასჯელი არასწორი ქმედებისთვის“ (Coleman, 1994, გვ. 242). შესაბამისად, სანქცია შეიძლება იყოს როგორც წამახალისებელი, ასევე დამსჯელი, ყველა შემთხვევაში, მას პრევენციული ფუნქცია გააჩნია. „პოზიტიურ სანქციას სურს მართლზომიერი ქცევის წახალისება“, ხოლო ნეგატიური სანქციები „ითვალისწინებს იურიდიულად არასასურველ შედეგებს“ და მიზანია „ნორმის დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა“, „სამართალდარღვევის თავიდან აცილება სამართალდამრღვევი პირის ან საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან“ (ხუბუა, 2004, გვ. 56). მეორე მხრივ, არსებობს ლეგალური სანქცია იმპერატიული ნორმის ანალოგიურად და სოციალური სანქცია, რომელიც ვალდებულებას აკისრებს საზოგადოების წევრებს შეასრულონ ნორმა მისი შიშით, რომელიც მოიაზრებს საზოგადოების წევრების მხრდან გაკიცხვას, უარყოფას, განდევნას, შერცხვენას და ასე შემდეგ (Carbonara, 2017). შესაბამისად, მათი არსებობა ნორმების ამოქმედებისათვის

მნიშვნელოვანია. ლეგალური სანქცია კი არის ერთი მხრივ სასჯელი ინდივიდის არანორმატიულ ქმედებაზე და მეორე მხრივ- წახალისება კონფორმული ქცევის გამო. “სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული, უკიდურესი ზომა, რომელიც დანაშაულის ჩამდენ პირს ეკისრება სახელმწიფოს სახელით სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით, ართმევს ან უზღუდავს მსჯავრდებულს განსაზღვრულ სიკეთს და იწვევს მასში მორალურ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას“ (ნაჭყებია გ.,1995, გვ.38 ციტირებულია წყაროში ვარძელაშვილი, 2016, გვ. 20). შესაბამისად სასჯელი არის სანქცია, რომელიც სახელმწიფოს რეაქციაა ინდივიდის დანაშაულებრივ ქცევაზე. მისი რეალიზებისა და მოქმედებისათვის აუცილებელია, რომ შესაბამისი იყოს საზოგადოებაში არსებულ პირობებთან, „რადგან დანაშაულებრივმა ქცევამ გაკიცხვა არ გამოიწვიოს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების ყველა წევრის მხრიდან და ამასთან, სასჯელმა საზოგადოებაში გარკვეული მხარდაჭერა ჰპოვოს. ასევე აუცილებელია, რომ დანაშაულებრივ ქცევას გარდაუვალად და ამასთან დროულად მოჰყვეს სასჯელის დანიშვნა. არც ერთი დანაშაულებრივი ქმედება დაუსჯელი არ უნდა დარჩეს“ (ვარძელაშვილი, 2016, გვ. 69). ანუ იმისათვის, რომ ნორმა ამოქმედდეს, აუცილებელია სანქცია იყოს დროული, თანაფარდი და გარდაუვალი. დროული გულისხმობს სწრაფ რეაგირებას ქმედებაზე. თანაფარდი - უნდა იყოს შესაფერისი ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით. ხოლო გარდაუვალი ნიშნავს, რომ ჩადენილ ქმედებას აუცილებლად მოჰყვება შესაფერისი სანქცია. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მოლოდინი იმისა, რომ ინდივიდის ქცევას აუცილებლად მოჰყვება შესაბამისი სანქცია, იწვევს სწორედ ნორმის ქმედებაში მოყვანას.

სოციალური კონტროლი კი საზოგადოებაში არსებობს იმისათვის, რომ სანქციებით განმტკიცებული ნორმა, მისი შესრულება უზრუნველყოს. სამართლის ნორმები ფორმალური გზით უზრუნველყოფენ კონფორმულ ქცევას, როდესაც სოციუმი ამ დროს შიგნიდან არეგულირებს თავისი წევრების ქმედებებს. აღნიშნული შიგნიდან რეგულირება ხდება არა სამართლის ნორმების ხარჯზე, არამედ სხვა ადამიანების რეაქციით ინდივიდის ქცევაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად წახალისდება ან დაისჯება ქცევა არა

სამართლებრივად, არამედ საზოგადოების მიერ. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნორმები გაწერილი და სანქციონირებული იყოს უფლებამოსილი სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რადგან სწორედ სამართალი იძლევა წესრიგს, ხოლო საზოგადოების წევრები ხელს უწყობენ მის შესრულება/არშესრულებას.

„ნორმატიული ქმედება განისაზღვრება,როგორც ჯგუფური აქტი,რომელიც მიმართულია გავლენა მოახდინოს საჯარო წესრიგზე და უზრუნველყოს კონფორმულობა დომინანტური სოციალური სისტემის ნორმებისადმი, როგორიცაა კანონები,რეგულაციები. არანორმატიული ქმედება კი არღვევს აღნიშნულ წესებსა და ნორმებს და სცდება „მისაღები“ ან „ლეგალური“ ცნებების ტერმინებს“ (Shuman, Cohen-Chen, Hirsch-Hoefler, & Halperin, 2016, გვ. 836). ანუ არანორმატიული ქცევა არაკონფორმული ქცევაა, რომელიც არ ემორჩილება სამართალს და არა დომინანტურ სოციალური სისტემის ნორმებით ხელმძღვანელობს, არამედ-საკუთარი. უფრო კონკრეტულად, ინდივიდისთვის სოციუმში აღირებული და სამართალში გაწერილი ნორმები უცხოა და მიუღებელი, შესაბამისად, არ იცავს მათ. ნორმის არდაცვა კი დევიაციაა (ნორმიდან გადახრილი ქცევა). სოციალურმა კონტროლმა კი უნდა უზრუნველყოს როგორც ნორმატიულობა, ასევე დევიციურ ქცევაზე პასუხიც.

თავი 3. დევიაცია და დანაშაული

3.1 დევიცია

დევიაცია ზოგადი თვალსაზრისით განიმარტება, როგორც ჩვეული კურსიდან გადახვევა (Garner, 2009, გვ. 516). თუმცა,როდესაც ვსაუბრობთ დევიაციაზე საზოგადოებაში, აქ მოიაზრება კონფორმული ქცევების „კურსიდან გადახვევა“. კიდევ ერთი ავტორი დევიაციას განიხილავს,როგორც „ისეთი წესების დამრღვევ ქცევას, რომელიც შექმნილია საზოგადოების ან ჯგუფის ელიტური წარმომადგენლების უფლებამოსილებით“ (Thio, 1973, გვ. 1). თუმცა აღწშნული განმარტება შემოზღუდულია „ელიტის“ ცნებით, სადაც მოაზრებიან ადამიანები,რომლებსაც ძალაუფლება უჭირავთ ხელში. თუმცა დევიაციური ქცევას მხოლოდ აღნიშნულით ვერ შემოვფარგლავთ, რადგან მისი განმსაზღვრელი არის საზოგადოება, რადგან სწორედ ის ადგენს ნორმებს და არა - საზოგადოებაში ძალაუფლების მქონე ინდივიდები. შესაბამისად, ეს არის ქცევა, რომელიც „ეწინაღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს“ (დევიაცია, თ. გ.), ღირებულებებს და საზოგადოდ გავრცელებულ ქცევის წესებს. ინდივიდი მიდის საზოგადოებაში არსებული წესრიგის წინააღმდეგ. სოციალური ორგანიზაცია იშლება და დევიანტურ ქცევა აღიწერება, როგორც „მოწყობილობიდან გამოჟონვა მისი გაუმართაობის გამო“ანუ არის „შედეგი ანომიის ან დარღვევის, შინაგანი შლის სიმპტომი“ (Erikson, 1962, გვ. 307). შესაბამისად, დევიაცია ხდება ინდივიდის „ნორმატიული პასუხი არანორმატიულ სოციალურ პირობებზე“ (Erikson, 1962, გვ. 307). Robert K. Merton-ს მიხედვით, დევიაცია არის ინდივიდის დაძაბულობის შედეგი, რომელიც წარმოიქმნება განსვლით კულტურულად განსაზღვრულ მიზნებსა და მიზნის მისაღწევად საჭირო ლეგიტიმურ საშუალებებს შორის განსვლას (Merton, 1938). ის აღნიშნავს, რომ თითოეულ ინდივიდს გააჩნია საკუთარი მიზნები, რის მიღწევასაც გამუდმებით ცდილობენ, თუმცა მათ ყოველთვის ამის საშუალება არ ეძლევათ, მაგალითად, როდესაც დაბალი კლასის წარმომადგენელი ცდილობს სკოლაში სწავლას, თუმცა მშობლებს არ აქვთ საკმარისი ფული იმისათვის, რომ უზრუნველყონ მათი განათლება. მერტონი კი ამბობს,რომ შედეგად დაბალი კლასის წარმომადგენლები განიცდიან დაძაბულობას იმის

გამო, რომ არ შეუძლიათ მიზნებს მიაღწიოს ლეგიტიმური საშუალებებით. შესაბამისად გადაჭრის მათი სტრატეგია გადის არალეგიტიმურ გზებზე და შესაძლოა სწორედ ამგვარი გზებით სცადონ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (Jang & Agnew, 2017). მისთვის ეს გარემოსთან ადაპტაციის, გარემოსთან შეგუების გზას წარმოადგენს, შესაბამისად, ის გამოჰყოფს შეგუების ხუთ ტიპს. პირველი არის კონფორმიზმი, რომელიც მის მიერ გამოყოფილი სახეებიდან არის ნორმატიული ქცევა, როდესაც ინდივიდი კონფორმულია საზოგადებაში გავრცელებული ნორმების. დანარჩენი ოთხი კი წარმოადგენს დევიაციას: ინოვაცია, რეტრიტიზმი, ამბოხი და რიტუალიზმი. ინოვაცია მოიაზრებს ღირებულებების მიმღებლობას, მაგრამ ქცევის წესების შეუთავსებლობას ამ ღირებულებებთან. რიტუალიზმის დროს ინდივიდი არ იზიარებს გავრცელებულ ღირებულებებს,თუმცა უპირობოდ ასრულებს მას. რეტრიტიმის დროს არც ღირებულებების აღიარება და არც - ქცევის წესების არ ხდება. ამბოხს კი მერტონი ეძახის კოლექტიური შეგუების ტიპს, რომელიც უბიძგებს ადამიანებს გასცდნენ საზღვრებს და შექმნან ახალი სოციალური სტრუქტურა, ეს არის სრული გაუცხოება მიზნებისაგან და საშუალებებისაგანაც (Merton, 1938) (McCaughy, Capron, Jamieson, & Carey, 2016, გვ. 51-57). თუმცა, „დაძაბულობა, გამოწვეული დაბრკოლებით მიზნის მიღწევის გზაზე, აუცილებლობით არ იწვევს დანაშაულს - ადამიანების ნაწილი კონფორმულ ქცევას ახორციელებს, მაგრამ სხვა ნაწილი ცდილობს შეამციროს ფრუსტრაცია და ამისთვის იყენებს დაძაბულობისადმი ადაპტაციის რომელიმე ხერხს (მაგ. ინოვაცია, რიტუალიზმი, ამბოხი), მათ შორის დანაშაულსაც“ (ნადარეიშვილი, 2008).

Parsons კი დევიაციის დეფინიციისას განასხვავებს ხედვის კუთხეს - ინდივიდუალური აქტორი თუ ინტერაქციული სისტემა იქნება მიღებული მხედველობაში. ინდივიდუალური აქტორის თვალსაზრისიდან, „დევიაცია არის აქტორის მოტივირებული ტენდენცია მოიქცეს ერთი ან მეტი ინსტიტუციონალიზებული ნორმატიული პატერნის საწინააღმდეგოდ, ხოლო სოციალური კონტროლის მექანიზმები კი წარმოადგენენ ამ აქტორისა და სხვა ადამიანების, რომელთანაც მას ინტერაქცია აქვს მოტივაციურ პროცესებს ქცევაში, რომლის დროსაც დევიციური ტენდენციები ნიტრალიზდება ან მცირდება“ (Parsons, 1951, გვ. 169). ხოლო

ინტერაქციული სისტემის პოზიციიდან - „დევიაცია არის ერთი ან მეტი შემადგენელი აქტორის ტენდენცია, მოიქცენ იმგვარად, რომ დაარღვიონ ინტერაქციული პროცესის ექვილიბრიუმი“ (Parsons, 1951, გვ. 169-170). შესაბამისად, დევიაცია შედეგად იწვევს „ცვლილებას ინტერაქციულ სისტემაში ან თავიდან ამყარებს ექვილბრიუმს წინააღმდეგობრივი ძალებს მეშვეობით“ (Parsons, 1951, გვ. 170), რაშიც სწორედ სოციალური კონტროლის მექანიზმები მოიაზრება. აქედან გამომდინარე, სოციალური კონტროლი არის სწორედ ის ძალა, რომელსაც დევიაციური ქცევის შეკავება შეუძლია, თუმცა დევიაცია არაა აუცილებელი შედეგად გვაძლევდეს დანაშაულებრივ ქმედებას. ის არის უბრალოდ ქცევა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოების ღირებულებებთან, ნორმებთან, თუმცა აუცილებლობით არაა მასთან დაპირისპირებული ან არღვევს სამართალს. დევიაცია, ცვლილების/სიახლის საფუძველიც შესაძლოა გახდეს, რადგან ის იძლევა ახალ ქცევებს და გვთავაზობს ახალ გზებს სხვადასხვა საკითხთან გასამკლავებლად. ხოლო დევიაციური ქცევა, რომელიც არღვევს სამართლის ნორმებს, არის ამჯერად დანაშაული.

3.2 დანაშაული

„დანაშაული არის ქცევა, რომელიც არღვევს კრიმინალურ სამართალს“ (McCaughy, Capron, Jamieson, & Carey, 2016, გვ. 98). შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა სახის სამართლის ნორმა აქვს და მათი კრიმინალური სამართალიც მათთვის სპეციფიურ დარღვევებს აღიარებს დანაშაულად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, დანაშაული არის „ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2019, მუხლი 7). ინდივიდის მიერ ჩადენილი ქმედება აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით, უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო (მართლწინააღმდეგობა- „პირის მიერ ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობა კულტურის ნორმებისადმი“ (ტურავა, 2013, გვ. 56). და ასევე ბრალეული (ბრალი - „მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის და არა პირის

ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი“ (ტურავა, 2013, გვ. 56)). შემდგომი ნაწილი არის ქმედება, რომელშიც თავის მხრივ იგულისხმება უმოქმედობაც. როდესაც ინდივიდი კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებული იყო ემოქმედა, თუმცა მან არაფერი გააკეთა ზიანის თავიდან ასაცილებლად (ტურავა, 2013, გვ. 56). ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შესაძლოა ინდივიდის ქცევა იყოს მართლსაწინააღმდეგო, თუმცა ქმედება მაინც არ დაკვალიფიცირდეს დანაშაულად, რადგან არსებობს როგორც ბრალის, ასევე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებებია: 1.აუცილებელი მოგერიება, 2. უკიდურესი აუცილებლობა 3. დამნაშავის შეპყრობა 4. მართლზომიერი რისკი და 5. სხვა მართლზომიერი ქმედება. ბრალის გამომრიცხავი კი: 1. ასაკი (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური[2] ასაკია 14 წელი), 2. შეურაცხადობა(ფსიქიკური პრობლემების გამო) 3. ბრძანების ან განკარგულების შესრულება 4.შეცდომა და 5. სხვა მართლზომიერი ქმედება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2019, მუხლი 28-38). მეხუთე პუნქტი როგორც ბრალის,ასევე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებშა აღნიშნული, რაც მოიაზრებს ისეთ გარემოებებს, რომლებიც არაა გაწერილი კანონში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი რამ არ არსებობს, შესაბამისად ვარირების საშუალებას გაძლევს და თუ შესაბამისად დამტკიცდება, რატომ უნდა გამოერიცხოს ბრალი ან მართლწინააღმდეგობა ასეთი ახალი გარემოების გამო, ჩვეულებრივ იქნება სისხლის სამართლებრივი პასუხისგებლობის შემსუბუქების ან გამომრიცხავი ერთ-ერთი საფუძველი.

შესაბამისად, დანაშაული არის საფუძველი,რის შედეგადაც ინდივიდს ეკისრება შესაფერისი სანქცია სასჯელის სახით. ხოლო მხოლოდ ნორმები იძლევა კოორდინირებული ფუნქციონირების საფუძველს, ინდივიდს აწვდის მოცემულობას სოციალურად სასურველი ქცევების შესახებ და სხვადასხვა ტიპის სანქციები უზრუნველყოფენ სასურველ ქცევებს.

[2] სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი ნიშნავს, რომ ინდივიდს კონკრეტულ წლამდე არ აქვს დანაშულის ჩადენის უნარი. საქართველოს კანონმდებლობით ეს ასაკი განისაზღვრება 14 წლით(სსსკ, მ.33).

თავი 4. განწყობის თეორია

4.1 განწყობის ადგილი ფსიქოლოგიურ თეორიებში

ფსიქოლოგიაში, ჩვეულებრივ, არსებობს ეგრეთ წოდებული „მცირე“ და „დიდი“/ “ზოგადფსიქოლოგიური“ თეორიები, რომლებიც იკვლევენ ადამიანის ქცევის ზოგად კანონზომიერებებს, მათი ფსიქიკური აქტივობის საფუძვლებს. „მცირე“ თეორიები ხსნიან ინდივიდის აღნიშნული აქტივობის ცალკეულ პროცესებს, მათ სპეციფიკურ თავისებურებებს როგორებიცაა მაგალითად, აღქმა, მეხსიერება, ფანტაზია. მისგან განსხვავებით, ზოგადფსიქოლოგიური თეორიები ორიენტირებულია ზოგადი კანონზომიერებების ახსნა/გაგებაზე. ასეთებია, მაგალითად, ბიჰევიორიზმი, გეშტალტთეორია (ნადირაშვილი, 1983) და მათ შორის განწყობაც. შესაბამისად, ის ცდილობს ახსნას ინდივიდუალური აქტიობის ზოგადი თავისებურებები და მოგვცეს მაქსიმალურად დეტალური ანალიზი იმისა, თუ როგორ არის განპირობებული ქცევა. რიგი თეორიების მიხედვით ქცევა სტიმულის უშუალო ზემოქმედებით არის განპირობებული, რომელსაც უზნაძე „უშუალობის პოსტულატს“ (უზნაძე, 2009, გვ. 49) უწოდებს. აღნიშნული პოსტულატის მიხედვით, „ობიექტური სინამდვილე უშუალო ზეგავლენას ახდენს ფსიქიკაზე და თავის მოქმედებას ამ უშუალო კავშირით განსაზღვრავს“ (უზნაძე, 2009, გვ. 50). ამის საუკეთესო მაგალითი არის ბიჰევიორიზმის ქცევითი მოდელი, „რომელიც სტიმული-რეაქციის (S -- R) სახელით არის ცნობილი“ (ნადირაშვილი, 1983, გვ. 177). „ის არა მხოლოდ სინამდვილის ზემოქმედებისა და ადამიანის ქცევის გამაშუალებელი რგოლის ძიებას თვლის ზედმეტად, არამედ“... „ადამიანის ქცევის განხილვის დროს ყურადღების გარეშე ტოვებს ცნობიერების იმ პროცესებსაც, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ადამიანის აქტივობასთან“ (ნადირაშვილი, 1983, გვ. 177). ასევე არსებობენ თეორიები, რომლებიც ორიენტირდებიან მხოლოდ ცნობიერ პროცესებზე (ნადირაშვილი, 1983, გვ. 34) ან მხოლოდ არაცნობიერზე. მათი აზრით „ფსიქიკური ყველაფერი ცნობიერია და ის,რაც ცნობიერია, ფსიქიკური“ (უზნაძე, 2009, გვ. 13). შემეცნება, გრძნობა და ნებელობა ყველაზე

ცნობილი კლასიფიკაცია ცნობიერის ცნებასთან მიმართებით. მეორე მიმართულების მიხედვით კი ცნობიერება ფსიქიკური აქტივობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს და ძირითადი და ყველაზე არსებითი ნაწილი არაცნობერია (უზნაძე, 2009). უზნაძის თეორია კი ერთგვარად ინტეგრირებული თეორიაა, რომელიც ამბობს, რომ როგორც ცნობიერი,ასევე არაცნობიერი პროცესები წარმართავენ ინდივიდის ფსიქიკურ აქტივობას. თუმცა ის „ჩვეულებრივად არაცნობიერი მდგომარეობის სახით არსებობს და გავლენას ახდენს ადამიანის მოქმედების მიმდინარეობაზე, მაგრამ ცნობერებასთან ის ზოგჯერ სპეციფიკურ ურთიერთობაშია“ (ნადირაშვილი, 1983, გვ. 163). აღნიშნული სპეციფიკური ურთიერთობა მოიაზრებს ქცევების წარმართვას განწყობის მეშვეობით,ხოლო როდესაც შესაფერისი განწყობა საკმარისი არ არის ქცევის აღსაძრავად, „ადამიანის მიერ უშუალო განწყობის საფუძველზე შესრულებული ქცევა შეუსატყვისია საგნობრივი სინამდვილისადმი ან არ შეეფრება სოციალური გარემოს მორალურ მოთხოვნებს საქმეში ობიექტივაცია, აზროვნება და ნებელობა ერევა“ (ნადირაშვილი, 1983, გვ. 164),რომლებიც უკვე ცნობიერ პროცესებს წარმოადგენენ. ასევე სწორედ განწყობა არის ის გამაშუალებელი პოსტულატი, რომლის უარყოფას უამრავი თეორია ცდილობდა. უზნაძემ „განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის აგება დაიწყო უშუალობის პოსტულატის დარღვევით და ადამიანის ფსიქიკური აქტივობის იმ კომპონენტის მონახვით, რომლითაც ხდება სინამდილისა და ცნობიერების საგნობრივი ზემოქმედებისა და ქცევის გაშუალება“ (ნადირაშვილი, 1983, გვ. 179). ესაა შუამავალი რგოლი „ადამიანსა და გარემოს“ (ნადირაშვილი, 1983, გვ. 41), სტიმულსა და რეაქციას,“ფიზიკურ სინამდვილეს,სოციალურ გარემოს, ადამიანის ქცევასა და მის ცნობირებას“ (ნადირაშვილი, 1983, გვ. 61) შორის.

4.2 განწყობის ცნება

განწყობის ცნების ჩამოყალიბებამდე არსებობდა მოტორული და სულიერი განწყობის ცნებები. პირველი გულისხმობდა „ადამიანის ფსიქიკურ მომზადებას,რაც უბიძგებს მას შეასრულოს გარკვეული სახის მოტორული რეაქციები“ (ნადირაშვილი, 1983, გვ. 4).

სულიერი განწყობა კი იყო ინდივიდის მიერ მიღებული პოზიცია, რომელიც „განსაზღვრავს ადამიანის ინტელექტუალურ აქტივობასა და საშუალებას აძლევს მას სწვდეს და დაიცვას ჭეშმარიტება“ (ნადირაშვილი, 1983, გვ. 3). ყველაზე გავრცელებული იყო განწყობის ოლპორტისეული დეფინიცია, რომელიც მას განსაზღვრავდა,როგორც „სულიერი და ნერვული მზაობის მდგომარეობას, რომელიც ორგანიზდება გამოცდილების პროცესში, იგი გავლენას ახდენს ადამიანის აქტივობის დინამკაზე, გარკვეულ მიმართულებას აძლევს იმ ქცევას, რომელიც განწყობასთა დაკავშირებული საგნებისა და სიტუაციების მიმართ ხორციელდება“ (ნადირაშვილი, 1983, გვ. 15). თუმცა უზნაძის თეორიაში ჩამოყალიბდა განწყობის ცნება, რომელიც მოიაზრებს ადამიანის აქტივობისთვის ფსიქოფიზიკური მზაობის მდგომარეობას (ნადირაშვილი, 1983, გვ. 4). ანუ ეს არის გარკვეული ქცევისთვის მომზადების მდგომარეობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს განახორციელოს მიზანშეწონილი ქცევა. ეს არის ქცევა, რომელიც „ინდივიდს საშუალებას აძლევს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება, შეეგუოს სინამდვილეს ან ისე გარდაქმნას გარემო,რომ იგი მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოდგეს“ (ნადირაშვილი, 1983, გვ. 199) ანუ პრაქტიკულად გარემოსთან ადაპტირდეს. შესაბამისად ადაპტაციის ორი სახე გამოიყოფა- ასიმილაცია, როდესაც ინდივიდი ეგუება გარემოს და აკომოდაცია - როდესაც იგუებს მას (ნადირაშვილი, 1983). შესაბამისად, განწყობის გარეშე ინდივიდი მიზანშეწონილ აქტივობას ვერ განახორციელებს, ხოლო იმისათვის,რომ თავად განწყობა აღმოცენდეს, საჭიროა სიტუაციისა და მოთხოვნილების არსებობა (უზნაძე, 2009), სუბიექტური (მოთხოვნილება) და ობიექტური (სიტუაცია,გარემო) არსებობა. „მოთხოვნილება ფსიქოფიზიკური ორგანიზმის ყოველ მდგომარეობას შეიძლება ეწოდოს, რომელიც საჭიროებს რა გარემოს შეცვლას, ამისთვის აუცილებელი აქტივობის იმპულსებს იძლევა“. იმისათვის, რომ მოთხოვნილება გაჩნდეს საჭიროა ინდივიდს გაუჩნდეს „დანაკლისის განცდა“ (ნადირაშვილი, 1983, გვ. 202) - რაღაცას არ ფლობს და სურს,რომ ფლობდეს. ეს არის პრაქტიკულად დანაკლისის განცდა, რომელიც უბიძგებს ინდივიდს, (აქვს ტენდენცია, მიდრეკილება) დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება. თავად მოთხოვნილება კი შესაძლოა იყოს ორი სახის: სუბსტანციონალური, რომელიც მოთხოვნილების

დასაკმაყოფლებლად საგნობრივი მოცემულობის არსებობის აუცილებლობას უსვამს ხაზს, ფუნქციონალურის დროს კი - ინდივიდის მოქმედების მოთხოვნილებას (უზნაძე, 2009, გვ. 58). რაც შეეხება გარემოს ობიექტურ ფაქტორს, ანუ მას, რომელიც ინდივიდისგან დამოუკიდებლად არსებობს, ის უნდა თანხვდებოდეს მოთხოვნილებას, მხოლოდ აუცილებელია აღნიშნული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო/შესაბამისი სიტუაციის არსებობა, რომ შესაძლებელი გახდეს განწყობის წარმოქმნა და მისით ფსიქიკის მოდიფიკაცია შესაფერისი აქტივობის აღსაძრავად. ნადირაშვილი კი დამატებით ასახელებს ოპერაციული შესაძლებლობების ფაქტორს და აღნიშნავს, რომ ქცევისთვის საჭირო ოპერაციული სისტემების გარეშე ინდივიდი ვერ შეძლებს ქცევის წარმატებით დასრულებას (ნადირაშვილი, 1983). ანუ თუ ადამიანს არ აქვს უნარი რომელიმე კონკრეტული საგნის მოხმარებისათვის შესაფერისი ოპერაციები განახორციელოს, ვერ შეძლებს განწყობის ჩამოყალიბებას და ქცევაში გადასვლას. შესაბამისად, განწყობა წარმოიქმნება მხოლოდ სუბექტური და ობიექტური ფაქტორების თანხვედრით. ხოლო განწყობის ჩამოყალიბების შემდეგ „ინდივიდს უჩნდება გარკვეული მიმართულებით აქტივობის ტენდენცია“... „ეს ტენდენცია მას მანამდე არ უქრება,სანამ ინდივიდი არ დაიკმაყოფილებს მოთხოვნილებას“ (ნადირაშვილი, 1985, გვ. 51), თუმცა მოთხოვნილების დაკმაყოფილება „საგნებსა და ნივთიერებებზე დანაკლისის შევსებას არ ნიშნავს“, არამედ „იმ აგზნებული მდგმარეობის ნორმალიზებას, რომელი ჩვეულებრივად მას გარკვეულ საგნებსა და ნივთიერებებზე დანაკლისის დროს გაუჩნდა“ (ნადირაშვილი, 1985, გვ. 181). რეალურად, ინდივიდის განწყობა აღმოცენდება მოთხოვნილების საპასუხოდ ქცევის განსახორციელებლად, თუმცა ინდივიდი არა ბიოლოგიური მოთხოვნილების ბოლომდე დაკმაყოფილებას ცდილობს, არამედ ბალანსის მდგომარეობაში დაბრუნებას,როდესაც არ არის განსვლა არსებულსა და სასურველს შორის (ნადარეიშვილი, 2007).

4.3 განწყობის კომპონენტები

ერთია როდესაც განწყობა ყალიბდება უკვე აღნიშნული ორი ფაქტორის მეშვეობით და მეორე ჩამოყალიბებული განწყობის სპეციფიკა, რომელსაც უჩნდება უკვე პოსტფაქტუმ ფაქტორები, კომპონენტები,რომლებიც განსაზღვრავენ მის სიძლიერესა და აქტივობისთვის მზაობას. რეალურად, ჩამოყალიბებული განწყობა მოცემული კომპონენტების ერთიანობას წარმოადგენს. ესენია : შეფასებითი,კოგნიტური, აფექტური და კონატური/ქცევითი. მათი ერთიანობის საფუძველზე ხორციელდება უკვე ქცევა. შეფასებითი კომპონენტი მოიაზრებს ზოგად წარმოდგენებს საგანწყობო ობიექტის მიმართ ანუ ინდივიდს წარმოდგენა აქვს რა მიაჩნია საზოგადოებას, როგორი დამოკიდებულებები აქვს ვთქვათ კონკრეტული ნორმის მიმართ. კოგნიტური კომპონენტი გულისხმობს თავად ინდივიდმა რა იცის აღნიშულ ნორმაზე ანუ მისი გაცნობიერებულობის დონე. ემოციურ/აფექტურ კომპონენტში მოიაზრება ინდივიდი ემოციური დამოკიდებულება, რამდენად მოსწონს ან არ მოსწონს ნორმა. კონატურ ანუ ქცევით კომპონენტში კი ერთიანდება ის ინსტრუმენტული შესაძლებლობები, ის უნარ-ჩვევები, რაც საჭიროა ნორმის დასაცავად,ქცევისთვის საჭირო ინსტრუმენტები რამდენად აქვს მზად,ხოლო, საერთო მზაობა, ოთხივე კომპონენტის ერთიანობა ქმნის განწყობას, რომელიც საჭიროა მიზანშეწონილი ქცევის განსახორციელებლად (ნადირაშვილი, 1985). ისინი „გამომწვევი ფაქტორები ასახვის შედეგად ყალიბდებიან. კოგნიტური კომპონენტი განწყობის საგობრივი ფაქტორის ასახვას წარმოადგენს“,.....“ემოციური... მოთხოვნილების ასახვის შედეგად მიიღება, ხოლო აქატივობის კომპონენტი იმ ოპერაციულ სისტემათა იმპულსების ასახვის საფუძველზე მიიღება, რომლებიც განწყობაში მოქმედების მზაობის სახით იყო მოცემული არაცნობერ დონეზე“ (ნადირაშვილი, 1985, გვ. 236).

თუმცა მნიშნელოვანი საკითხია, რამდენად თავსებადობაშია მუდმივად აღნიშნული კომპონენტები. პრობლემაც სწორედ ის არის, რომ ხშირად ისინი კონფლიქტურ მდგომარეობაში არიან, შესაბამისად ინდივიდს „არათავსებადი ფსიქიკური მდგომარეობა ექმნება, მაშინვე უჩნდება ამ პროცესების ერთმანეთთან შეთანხმების ტენდენცია“

(ნადირაშვილი, 1985, გვ. 237). განწყობა კი ძლიერი სწორედ მაშინაა, როდესაც ოთხივე კომპონენტი თავსებადობაშია და არ უშლის ხელს ქცევის აღძვრას. ნებისმიერ განწყობაში შეგვიძლია ვისაუბროთ რომელიმე კომპონენტის დომინანტობაზე, თუმცა მათი შეუფერხებლად მუშაობისთვის საჭიროა შეთავსებულნი იყვნენ ერთმანეთთან. მათი უკონფლიქტო ურთიერთობის გამო კი შესაძლებელი ხდება განწყობის აქტივაცია ქცევის განსახორციელებლად.

4.4 განწყობის სახეები

როდესაც სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი თანხვდება ერთმანეთს, წარმოიქმნება განწყობის პირველადი სახე, რომელიც ჯერ კიდევ გამოუდიფერენცირებელი, დიფუზურია. ეს „არადიფერენცირებული,არაინდივიდუალიზებული მდგომარეობაა“ (უზნაძე, 2009, გვ. 69), რაც გულისხმობს, რომ ინდივიდმა გაწყობის ჩასახვის პირველ ეტაპზე სრულყოფილად არ აქვს გააზრებული მიზანშეწონილი აქტივობისთვის საჭირო ყველა მდგომარეობა, რაც უნდა გაითვალისწინოს ანუ ის „აქტივობის სიტუაციას საკმარისად სპეციფიკურად ვერ გაითვალისწინებს“ (უზნაძე, 2009, გვ. 260).ვერ შეძლებს განწყობის სუბიექტის ისეთ მდგომარეობად გარდაქმნას, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში დასჭირდება. სწორედ ამ სიტუაციაში აღმოცენდება დიფუზური განწყობა, რომელსაც კონკრეტული სახე არ აქვს მიღებული, როდესაც ინდივიდი არჩევს შესაძლო ვარიანტებიდან როგორი ქცევა განახორციელოს, რადგან არ იცის კონკრეტული სიტუაციისათვის რომელი უფრო ხელსაყრელია, სწორედ მაშინ იწყებს დიფერენციაციას, გამოცალკევებას დიფუზურისგან და სწორედ მაშინ ყალიბდება სიტუაციური განწყობა,რომელიც გამოდიფერენცირებული, თუმცა პირველადი, ერთჯერადი და დროებითია. მას მკაფიო ფორმა და სახე აქვს, მაგრამ აუცილებლად ერთჯერადია, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედებს და მხოლოდ იმ კონკრეტულ მოთხოვნილებას ერგება. „სიტუაციური განწყობა ადამიანს ყოველი კონკრეტული ქცევის წინ ექმნება.იგი ქცევის მიმდინარეობას განსაზღვრავს. სათანადო მოთხოვნილების

დაკმაყოფილებისა და მიზნების მიღწევის შემდეგ“.. „მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა მთავრდება“ (ნადირაშვილი, 1985, გვ. 163). სწორედ ამ მიზეზების გამოა ის ერთჯერადი. სიტუაციური განწყობები ყოველ ჯერზე თავიდან იქმნება და ყოველთვის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთანავე ქრება. მხოლოდ „აქ და ამჟამად მოცემული ვითარებისათვის შესატყვისი მიზანშეწონილი ქცევა აიგება“ (ნადირაშვილი, 1985, გვ. 166). ხოლო სტიმულის რამდენჯერმე მიწოდების შემდგომ თანდათანობით ფიქსირდება, შესაბამისი სტიმულის განმეორების, „მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი მოცემული პირობების გამეორებითი ზემოქმედების“ (უზნაძე, 2009, გვ. 261) შემდგომ კი ხდება დიფერენციაცია და ყალიბდება უკვე ფიქსირებული განწყობა,რომელიც ხასიათდება უკვე სტაბილურობით,რომელიც მოიაზრებს, რომ მას მრავალჯერადად შეუძლია იქცეს სათანადო ქცევის საფუძვლად განსხვავებით სიტუაციური განწყობისაგან, რომელიც ქცევის დასრულებისთაავე ქრება. ფიქსირებული განწყობა ამ მხრივ მრავალჯერადია და დროში გამძლე ანუ სტაბლურია. ასევე მნიშვნელოვანია აღსანიშნად მისი აგზნებადობა, ანუ რამდენად „სწრაფად შეუძლია დიფერენციაცია“ (უზნაძე, 2009, გვ. 108) და გამოცოცხლება. რადგან ვსაუბრობთ ფიქსირებულ განწყობაზე, რომელიც ინდივიდს უკვე გამოცდილებაში აქვს, მისი თავიდან შექმნა საჭირო არ ხდება და შესაძლებელია შესაბამის სიტუაციაში გამოცოცხლდეს. ხოლო როდესაც მსგავსი ფიქირებული განწყობის მრავალჯერ გაფიქსირება ხდება კიდევ, ყალიბდება ამჯერად დისპოზიციური განწყობა, რომელშიც „მყარი ქრონიკული მდგომარეობა იგულისხმება, რომელიც გამოცდილების პროცესში ჩამოყალიბდა“... ისინი „პიროვნების თვისებას, მის კუთვნილებას წარმოადგენენ“ და გავლენას ახდენენ „ადამიანის აქტივობაზე“ (ნადირაშვილი, 1985, გვ. 164). რეალურად მასში არის ასახული გამოცდილების განმავლობაში შეძენილი დამოკიდებულებები გარესამყაროსა და მოვლენების მიმართ, ისინი განსაზღვრავენ „რა საქმეს მიემხრობა ან რის წინააღმდეგ იბრძოლებს“ (ნადირაშვილი, 1985, გვ. 164). ის ფიქსირეული განწყობის მსგავსად, ქცევის დასრულების შემდგომ „ისევ ინახება პიროვნების ფსიქიკურ შესაძლებლობათა არსენალში“ და „ყოველთვის იცვლება და მდიდრდება იმ გამოცდილებით, რაც მან ქცევის განხორციელების დროს შეიძინა“ (ნადირაშვილი, 1985, გვ.

181), ამასთან კიდევ სტაბილობისა და სიმტკიცის ხარისხითაც ხასიათდება. შესაბამისად, დიპსპოზიციური განწყობა არა მხოლოდ დროში სტაბილურია, არამედ უკეთესად შეუძლია წინააღმდეგობების დაძლევა ანუ მასთან დაპირისპირებული სიტუაციური განწყობებს ბლოკირება და ქცევის გაცილებით სანდო გარანტს იძლევა.

4.5 იმპულსური ქცევისა და ობიექტივაციის (არაიმპულსური)პლანი

ზემოთ აღნიშნულიდან არც ერთი ტიპის განწყობას არ შეუძლია მოგვცეს გარანტია იმისა, რომ მზაობა აუცილებლად გადავა შესაბამის ქცევაში. როდესაც განწყობა უპრობლემოდ აღძრავს ქცევას, ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ იმპულსური ქცევის პლანზე, რაშიც იგულისხმება პროცესის შეუფერხებლობა. ინდივიდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უპრობლემოდ ქმნის განწყობას და განწყობა უპრობლემოდ გადადის ქცევაში. ეს მხოლოდ მაშინ ხდება,როდესაც განწყობის კომპონენტები თავსებადია და საკამარისი ენერგეტიკა აქვს მოთხოვნილებას, აღძრას მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო აქტივობა. ის,შეიძლება ითქვას,რომ რეგულირდება განწყობის/არაცნობიერ დონეზე, შესაბამისად ამ დროს სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი დაუნაწევრებელია,რაც ნიშნავს, რომ ისინი ერთ მთლიანობით სტრუქტურას წარმოადგენენ და მათგან წამოსული იმპულსები დაუბრკოლებლად ქმნიან განწყობას და იწვევენ ქცევას (უზნაძე, 2009), „აქტივობის პირველ დონეზე ინდივიდი-გარემოს ურთიერთობა ფსიქოლოგიურად დაუნაწევრებელი მთლიანობაა“ (ნადირაშვილი, 1985, გვ. 84), თუმცა ხდება, როდესაც პროცესი შეუფერხებლად არ მიმდინარეობს და როდესაც ფაქტორებიდან წამოსული სტიმულები დაუბრკოლებლად ვერ ქმნიან განწყობას, შესაბამისად, ვერ გადადიან ქცევაში. ჩნდება პრობლემა, ინდივიდი აწყდება დაბრკოლებას, ისეთ სიტუაციას, რომელიც არ ჰქონია გამოცდილებაში, „ქცევის აქტი, რომელიც უნდა მომხდარიყო - მორიგი რგოლი აქტთა ჯაჭვში - ჩვეულებრივ, აღარ უთმობს ადგილს მომდევნოს,მის მიერ სტიმულირებულ აქტს, ვინაიდან დაბრკოლება სწორედ ამ სტიმულაციის პროცესს ეხება“ (უზნაძე, 2009, გვ. 136) და უკვე საჭიროებს დამატებითი რესურსების ჩართვას, მონაწილეობას იმისათვის, რომ

ქცევა განხორციელდეს და პროცესი დასრულდეს. სწორედ ამ დროს ხდება ობიექტივაცია ანუ ქცევა ფერხდება და ის, რამაც შეფერხება გამოიწვია „დამოუკიდებელ საგნად იქცევა, ობიექტად“(უზნაძე, 2009, გვ. 136) და ხდება მასზე დაკვირვება, რატომ შეაფერხა ქცევა. ამ შემთხვევაში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები იყოფა, აღარ არის არაცნობიერ დონეზე ერთად მოცემული და სწორედ ამ დროს „იგი სხვა ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად ვეღარ ახერხებს ინდივიდის იმპულსური ქცევის გამოწვევას“ (ნადირაშვილი, 1985, გვ. 75) და სწორედ ამ დროს ერთვება აზროვნება და ნებელობა. აზროვნება აკვირდება სიტუაციას და ცდილობს „განსაზღვროს ახალი, მისი მიზნების შესატყვისი განწყობა და მიიღოს ზომები“ ... მისი „რეალიზაციისათვის“ (უზნაძე, 2009, გვ. 295). ხოლო ნებელობა იძლევა იმ ენერგეტიკას, რომელიც მოთხოვნილებას საკმარისი არ აქვს და საჭიროა პროცესის გასაგრძლებელად. აზროვნება ეძებს შესაფერის განწყობას, რომელიც სჭირდება, თუმცა მას ახალი განწყობის აქტუალურ განწყობად გადაქცევა არ შეუძლია, მხოლოდ „იმას განსაზღვრავს რა უნდა გაკეთდეს, მაგრამ როგორ განხორციელდეს, როგორ გადაიქცეს რეალურად“ ამას უკვე ნებელობა განსაზღვრავს. „მას შეუძლია წარმოსახული მოქმედების განწყობა აქტუალურ განწყობად გადაქციოს“ (უზნაძე, 2009, გვ. 302).

ამრიგად,როდესაც ქცევა შეუფერხებლად ხორციელდება, საქმე გვაქვს იპულსური ქცევის პლანთან, თუმცა როდესაც პროცესში ინდივიდი დაბრკოლებას აწყდება, ჩერდება,აკვირდება და იხმარს აზროვნებას,რომელიც აკვირდება,არკვევს, რა მოხდა და ასევე ეხმარება ნებელობა,რომელიც ახორციელებს და ასრულებს პროცესს.

თავი 5. სოციალური დეზორგანიზაცია

საზოგადოებაში არაინტეგრირებულობის მიზეზი უამრავი შესაძლოა იყოს, თუმცა ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დეზორგანიზაცია შეიძლება იქნას მიჩნეული.

ზოგადად, სოციალური ორგანიზაცია არის ჯგუფებს, ჯგუფსა და ინდივიდს და ინდივიდებს შორის ურთიერთობებათა სისტემა, რომელიც ხასიათდება სტაბილური კავშირებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაზიარებული რწმენები და ღირებულებები ქმნიან სოციალურ ორგანიზაციას[3]. ამის საპირისპიროდ, სოციალური დეზორგანიზაცია არის საზოგადოების მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ეფექტური სოციალური კონტროლის რღვევითა და შედეგად გვაძლევს ფუნქციონალური ინტეგრაციის დაკარგვას ჯგუფებს შორის, კონფლიქტს სოციალურ ატიტუდებში, პიროვნულ და სოციალურ დეზადაპტაციას[4]. დეზორგანიზაცია ჯგუფში, ჯგუფებს შორის, საზოგადოებაში მოიაზრებს არასტრუქტურირებულ, ქაოტურ ურთიერთქმედებას აღნიშნული სტრუქტურის ელემენტებს შორის, რომელიც შლის სოციალურ სტრუქტურას, სხვაგვარად - იწვევს სოციალური წესრიგის რღვევას. სწორედ ამ იდეაზე დგას დეორგანიზაციის თეორიის ნებისმიერი მოდელი, რომელიც ცდილობს ახსნას თუ რატომ ხდება დანაშაული საზოგადოებებში და რა არის ამის მიზეზი.

სოციალური დეზორგანიზაციის მოდელის კლასიკური ვერსია მოდის Durkheim-ის ნაშრომებიდან. ის საუბრობდა შრომის დანაწილებზე საზოგადოებებში. სოფლებში ეს პროცესი მინიმუმამდე იყო დაყვანილი ან შრომის გაყოფა არ ხდებოდა, რადგან ნებისმიერი ინდივიდი ზოგადად მსგავსი ტიპის სოციალურ და ეკონომიკურ აქტივობებში იყო ჩართული, რის შედეგადაც გაზიარებული რწმენები და ღირებულებები წარმოიშვა. აღნიშნულმა გაზიარებულმა ატიტუდებმა მიიყვანა საზოგადოება საჭირო ორგანიზაციულ სტრუქტურასა და სოციალური ინსტიტუტების, როგორებიცაა სკოლა, ოჯახი, ეკლესია, სამეზობლო და ა.შ. შესაფერის ფუნქციონირებასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განივითარეს

[3] Dictionary by Merriam-Webster; იხ. ბმული https://www.merriam-webster.com/dictionary/social%20organization
[4] Dictionary by Merriam-Webster; იხ. ბმული https://www.merriam-webster.com/dictionary/social%20disorganization

„კოლექტიური სინდისი“ (Smith, 2014), რაც საზოგადოებას ერთ მთლიან ორგანიზმად აქცევს. ამ პროცესს Durkheim მექანიკურ სოლიდარობის (Thijssen, 2012) ჩამოყალიბებას უწოდებს, როდესაც ინდივიდებს უჩნდებათ საზოგადოების მიმართ ნდობა, თავს აღიქვამენ მათ წევრად,რადგან გამოცდილება და შრომითი საქმიანობა, ასევე შრომის დანაწილება მსგავსია, ამიტომ მექანიკური სოლიდარობა მხოლოდ აგრარული საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა როდესაც სოფლები გადაიზარდნენ ურბანულ დასახლებებში, გადაიქცნენ ინდუსტრიულ საზოგადოებებად, შრომა დანაწევრდა და მისი განაწილება უფრო კომპლექსური გახდა, ინდივიდთა როლები შეიცვალა, აირია ერთმანეთში სწორი და არასწორი ქცევის სოციალურად მისაღები ფორმები, შესაბამისად, გაჩნდა ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი ატიტუდები და „კოლეტიურმა სინდისმაც“ დაკარგა თავისი კონტროლის მექანიზმი. მექანიკური სოლიდარობა შეიცვალა ორგანული სოლიდარობით (Thijssen, 2012), რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ინდუსტრიული საზოგადოებებისთვის და რომლის საფუძველია შრომითი დიფერენციაცია, თუმცა მიზნის მისაღწევად აუცილებლად მოითხოვს ინტერესების თანხვედრასა და მათ შეჯერებას. სწორედ ცვლილება აგრარული ყოფიდან ურბანულისკენ ანუ მექანიკური სოლიდარობის ჩანაცვლება ორგანულით იწვევს დეზორგანიზაციას და სწორედ ამ დროს არის განსაკუთრებით მაღალი დანაშაულის მაჩვენებელიც (Bellair, 2017).

თუმცა სოციალური დეზორგანიზაციის თეორია, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტური სოციოლოგიური მიდგომა, წამოვიდა ჩიკაგოს სკოლიდან, Shaw-სა და McKay-ს კვლევიდან. მე-19 საუკუნესა და მე-20-ს დასაწყისში პატარა ქალაქები, პატარა საზოგადოებები უეცრად გადაიქცნენ დიდ, ინდუსტრიულ ქალაქებად, დიდ საზოგადოებებად, ეს ცვლილება განსაკუთრებით შეეხო ჩიკაგოს 1830-დან 1930 წლამდე, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა 200 მოსახლიდან 3 მილიონამდე გაიზარდა (Shaw & McKay, 1969 ციტირებულია წყაროში Bellair, 2017), მაგრამ მოსახლეობის მაჩვენებლის ზრდასთან ერთად დანაშაულის რიცხვმაც იმატა, განსაკუთრებით ბანდის მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა (Mares, 2010), რომლის წევრებიც ძირითადად, არასრულწლოვნები იყვნენ, შესაბამისად Shaw და McKay-მ დაიწყეს არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი

მიზეზების კვლევა. კლევების მიხედვით, მთავარი სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვის სოციალიზაციის პროცესზე, არის ოჯახი, თანატოლები და სამეზობლო (Bellair, 2017). ბავშვი სწორედ მათ მიხედვით დაისწავლის ქცევის სოციალურად მისაღებ ნორმებს. აქ მნიშვნელოვანი კომპონენტია სამეზობლო, რომლის სოციალური ორგანიზაცია/წყობა განსაზღვრავს პროსოციალური თუ ანტისოციალური ქცევების განმტკიცებას, მათ სიძლიერეს, შესაბამისად, როდესაც გარემო, რაშიც ბავშვი იზრდება და სადაც გაზიარებული, აღიარებული და დამკვიდრებულია ანტისოციალური, არანორმატიული ქცევის ფორმები, აყალიბებს და წაახალისებს დევიაციურ ქცევებს ბავშვებში ან პირიქით, ნორმტიული საზოგადოებები ნორმატიული ქცევების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. ამ მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია რამდენად სტაბილურია გარემო და არ ხდება მისი შეცვლა, რადგან უკვე ერთ ჯგუფთან საზიარო ატიტუდების რღვევა იწვევს ინდივიდის მთლიანი განწყობების შლას, ამიტომ მიუხედავად კავშირების წყვეტისა, ის მაინც განაგრძობს იმავე ატიტუდებით ფუქნციონირებას სხვა საზოგადოებებში, სადაც შესაძლოა აღნიშნული განწყობები სრულიად აღარ იყოს სოციალურად მისაღები. სწორედ ეს არის სოციალური დეზორგანიზაციის თეორიის ძირითადი დებულება - ჩიკაგო მოულოდნელად გადაიქცა 3 მილიონიან ინდუსტრიულ ქალაქად, რადგან გარუბნებში მცხოვრები ადამიანები სამუშოდ ქალაქში გადმოვიდნენ, რამაც ჩიკაგოს სოციალური ორგანიზაციის შლა გამოიწვია. ადამიანები განსხვავებული ღირებულებებით აღმოჩნდნენ განსხვავებულ გარემოში და აღმოცენებული პრობლემების გადაჭრის მექანიზმები მზად არ გააჩნდათ, რამაც გამოიწვია საზოგადოების დეზორგანიზაცია. ის უძლური გახდა დაერეგულირებინა გარემოს მოვლენების დამანგრეველი შედეგები, რომელმაც მიიყვანა ჩამოშლილ სოციალურ-ორგანიზაციულ სტრუქტურასთან და გაანადგურა კავშირები სოციუმის წევრებს შორის.

Shaw და McKay თავიანთ კლასიკურ ნაშრომში Juvenile Delinquency and Urban Areas (1942, 1969) გამოყოფენ 3 სტრუქტურულ ფაქტორს, რომელმაც მიიყვანა საზოგადოება სოციალური ორგანიზაციის რღვევასთან,რომელმაც, ასევე საპასუხოდ მიიყვანა დელიკვენტური ქცევისა და დანაშაულის რიცხვის ზრდასთან, ესენია დაბალი

სოციოეკონომიკური სტატუსი, ეთნიკური ჰეტეროგენურობა და საცხოვრებლის შეცვლა (Shaw et al. 1929; Shaw and McKay 1942, 1969 ციტირებულია წყაროში (Sampson & Groves, 1989)), თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ეს ფაქტორები თავისთავად არ განსაზღვრავს დელიკვენტური ქცევის მაჩვენებელს, აღნიშნული პროცესები უბრალოდ ზრდის დანაშულისა და სოციალური დეზორგანიზაციის ალბათობას (Bursik Jr, 1988). სოციალური დეზორგანიზაცია კიდევ ერთხელ თუ განვმარტავთ, შეესაბამება „ადგილობრივი საზოგადოებების უუნარობას, გააანალიზონ თავიანთი მაცხოვრებლების ღირებულებები ან გადაჭრან საზოგადოდ გავრცელებული პრობლემები“ (Kornhauser, 1978: 63; Thomas and Znaniecki, 1920 ციტირებულია წყაროში Bursik, 1988), შესაბამისად, წარმოქმნილი „უუნარობა“ ზრდის დანაშაულის ჩადენის ალბათობას, თუმცა კიდევ ერთელ უნდა აღინიშნოს, რომ ის პირდაპირი გზით არ იწვევს დანაშაულებრივ ქცევას.

ჩიკაგოს სკოლის მიერ შემუშავებული დეზორგანიზაციის თეორიის გული შეიძლება ითქვას, არის დანაშაულის ზონალური განაწილება (Carrabine, და სხვ., 2009, გვ. 75), რომლის მიხედვით ქალაქი დაყოფილია ზონების მიხედვით, დანაშაულის მაჩვენებელი თითოეული ზონის მიხედვით განსხვავებულია, შიდა ნაწილიდან გარეს მიმართულებით დანაშაულის რიცხვი მცირდება. ცენტრალური ანუ პირველი ზონა არის ადგილი, სადაც ბიზნეს წრის წარმომადგენლები იყრიან თავს,თუმცა აქ ყველაზე ნაკლები ხალხი ცხოვრობს და საკუთრების ფასი მაღალია. მერეს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებიც დროებითი მაცხოვრებლები არიან და ცუდ პირობებში უწევთ ცხოვრება. მესამეში მეორესთან შედარებით შემლებული ნაწილი - მუშათა კლასი ცხოვრობს, მეოთხეში საშუალო შემლების მქონე ადამიანები ცხოვრობენ, გარეუბნებში კი - მდიდარი მოსახლეობა (Wong, 2002). გარეუბნებისკენ დანაშულის რიცხვი საგრძნობლად შემცირებული და თითქმის ნულამდე დაყვანილი იყო, შესაბამისად, ცენტრალური ზონები, განსაკუთრებით მეორე ზონა წარმოადგენდა როგორც პრობლემების, ასევე დანაშაულის კერას (შალიკაშვილი, 2017). აქედან გამომდინარე, საზოგადოება ქაოსში იყო ჩაძირული, რამაც გამოიწვია სწორედ საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურის შლა და დეზორგანიზაცია. პრაქტიკულად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩიკაგოს ადგილობრივი მოსახლეობის აღრევამ მიგრანტებთან,

სამუშაოდ ჩამოსულ აფრიკული წარმოშობის მქონე ადამიანებთან და ასე შემდეგ, საზოგადოებაში დაძაბულობა გამოიწვია, ამას შედეგად მოჰყვა ზონებად დაყოფა, რამაც დეზორგანიზაციას შეუწყო ხელი და მივიღეთ დანაშაულის განსაკურებით მაღალი მაჩვენებელი.

როდესაც აღნიშნული დეზორგანიზაბული ფონი არსებობს საზოგადოებაში, ეს თავისთავად მიანიშნებს, რომ ინტეგრირებულობა დაბალია. როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულის მაჩენებელი თბილისში გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა რეგიონებში, რის მიზეზადაც სოციალური კონტროლის მექანიზმების უმექმედობა და უეფექტობა მიმაჩნია. პირველ რიგში, დეზორგანიზაციული ფონი, რომელიც შექმნილია საზოგადოებაში, თეორიის მიხედვით, გამოწვეულია ქალაქში მოსახლეობის ზრდით, როდესაც გარეუბნებიდან და სხვა რეგიონებიდან თბილისში ჩამოსული ადამიანების ხვედრითი წილი წლების ზრდასთან ერთად იმატებს და ზოგადად, კვლევების მიხედვით, ქალაქებში გაცილებით დიდია დანაშულის რიცხვი, ვიდრე სოფლებში (Glaeser & Sacerdote, 1999) (Landbrok, 1988) (James, 2004) (Ellen & O'Regan, 2009). ამას თავისი მიზეზები აქვს - როდესაც ხდება სხვადასხვა კულტურული ჯგუფის შეჯახება, მათი ღირებულებები, ნორმები, რწმენათა სისტემები განსხვავებულია, რის გამოც რთული ხდება ახალი კულტურული ჯგუფის ძირითად/მეინსტრიმ კულტურასთან ადაპტაცია. საზოგადოების დეზორგანიზებულობა ნიშნავს, რომ სოციალური სისტემის კავშირები, ბმები საზოგადოების წევრებს შორის სუსტდება ან საერთოდ ქრება, ინტეგრაციის კომპონენტები ირღვევა და სოციალური კონტროლიც აღარაა ქმედითი. რადგან სოციალური კონტროლი ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციას, დანაშაულის რიცხვიც იზრდება, რადგან ვერ ხდება მასზე სათანადო რეაგირება ან ხდება, თუმცა უშედეგოა, რადგან უკვე არსებული მექანიზმები ვერ უმკლავდება ახალ ჯგუფებს, რადგან ისინი სხვა კულტურული გარემოსა თუ ჯგუფებსათვის შეიქმნა.

როგორც ვხედავთ, ჩიკაგოს სკოლის მიხედვით დეზორგანიზაცია მიგრაციამ გამოიწვია, სხვადასხვა ტიპის ადამიანებს ერთანეთში არევამ, კულტურული კონფლიქტის თეორიის (Sellin, 2015) მიხედვით - სხვადასხვა კულტურული ჯგუფების შეჯახებამ.

განწყობის პერსპექტივიდან თუ შევხედავთ ეს სხვა არაფერია თუ არა ახალი კულტურული გარემოს შესაფერისი განწყობების არარსებობა.

თავი 6. თეორიული ანალიზი

ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს სოციალური წესრიგი, მართლწესრიგი რომელიც უზრუნველყოფს სოციუმის წევრების მართლზომიერ ქცევას, ეს არის კანონის ძალით დამყარებული წესრიგი საზოგადოებაში, პრაქტიკულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესაა ქცევის სამართლებრივი რეგულირება. აქედან გამომდინარე თითოეულ საზოგადოებას მისთვის კუთვნილი წესრიგი და მხოლოდ მისთვის მოქმედი ნორმები გააჩნია, ამგვარად კი მართლწესრიგი უზრუნველყოფს ნორმების ქმედითობას სანქციების მეშვეობით. როდესაც ნორმა არ სრულდება ან სრულდება საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეაქცია განსაზღვრავს ამ ქცევის განტკიცებას ინდივიდისათვის. სანქცია ასევე უწყობს ხელს პოზიტიური ან ნეგატიური პასუხისმგებლობის განვითარებას მასში. პოზიტიური ვალდებულებები მოიაზრეს მოქალაქის აქტიურ ქმედებას რომელიმე კონკრეტული მიზნის მისაღწევად, ნორმატიულობაზე თუ ვისაუბრებთ ნორმატიული ქცევის განსახორციელებლად, ის დაფუძნებულია ინდივიდის მორალურობაზე, პიროვნულ ღირსებებზე, ხოლო ნეგატიური ვალდებულებები კი კრძალავს კონკრეტულ ქმედებებს და აღწერს, რა არ უნდა გააკეთოს ადამიანმა (Breakey, 2014) (Singer, 1950) (Belliotti, 1981). შესაბისად, პოზიტიური პასუხისმგებლობა წაახალისებს ქცევას და მასში კარგად იკვეთება ინდივიდის სურვილი, დაიცვას ნორმები, რადგან პასუხისმგებლობას გრძნობს საზოგადოების წინაშე, ნეგატიური პასუხისმგებლობის შემთხვევაში არის შიში, რაც აკრძალულია მისი დარღვევის, ამიტომ ნორმატიული ქცევა განპირობებულია არა ინდივიდის სურვილით, არამედ - აკრძალვის დარღვევის შიშით. განსაკუთრებით აღსანიშნია უარყოფითი სანქცია, მაგალითად სასჯელი, რომელიც ნეგატიურ პასუხისმგებლობას აკისრებს სოციუმის წევრს და ქცევის ყველაზე არასასურველი მარეგულირებელი მექანიზმია. არასასურველი არის იმიტომ, რომ ინდივიდი მხოლოდ სასჯელის შიშით იქცევა მართლზომიერად და მას არ აქვს სურვილი ამგვარად მოიქცეს, მხოლოდ დასჯის აცილების მიზნით იმ მომენტში აჩერებს ქცევას, თუმცა ეს არ გვაძლეს გარანტიას იმისა, რომ მომავალშიც მსგავსი ან სხვა სახის სასჯელი მისთვის შემაკავებელი

მექანიზმი გახდება. სასჯელის ფუნქციაც გამომდინარეობს სწორედ ნეგატიური პასუხისმგებლობის შიშიდან, რითაც ის უზრუნველყოფს მართლზომიერ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მისი დანიშნულებაა აღადგინოს დარღვეული სამართლიანობა, რომელიც დანაშაულის ჩადენით შექმნა სოციუმში, ხელი შეუწყოს ინდივიდის ხელახალ სოციალიზაციას და ახალი დანაშაული თავიდან აიცილოს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელი გარეგანი შემაკავებელი მექანიზმია და ესაა ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ შეუძლია მას ინდივიდის სრულყოფილი რესოციალიზაცია და ახალი დანაშაულის პრევენცია (თავიდან აცილება) - ინდივიდში ინტეგრირებულობის კომპონენტი საერთოდ არ არსებობს. შესაბამისად, ჯერ აუცილებელია საზოგადოებასთან ბმების/კავშირების,შინაგანი მართვის გაძლიერება,ინტეგრირებულობის კომპონენტის გაძლიერება, ამის შემდეგ კი სასჯელი ეფექტური და შედეგიანი იქნება. თუმცა ამ საკითხს რეკომენდაციების ნაწილში კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით. ამჯერად კი აუცილებელია აღინიშნოს, რომ დეზორგანიზებულ საზოგადოებაში ნორმების ქმედუუნარობას არა მათი ან ნეგატიური პასუხისმგებლობის არარსებობა იწვევს, არამედ ის, რომ კონკრეტული ნორმა კონკრეტულ ჯგუფზეა მორგებული ანუ საზოგადოებაში არსებული ფიქსირებული განწყობები არსებობს მხოლოდ იმ ბაზაზე, რა ბაზაზეც შეიქმნა. ნორმების ფუქციებიდან რომ განვიხილოთ, ნორმა მოქმედებს და შედეგიანია, რადგან ის საზოგადოებაში გამოცდილია, მზა არის და მიღებულია მისი წევრები მიერ. აქედან გამომდინარე კი სხვა კულტურული ჯგუფი სხვა სოციალური ნორმების მატარებელია, სხვა ღირებულებებისა და ქცევითი მზაობების, რის გამოც ახალ კულტურულ ღირებულებებთან ადაპტირებას დრო სჭირდება, შესაბამისად პირველ ეტაპზე შეუძლებელი ხდება მათი თავსებადობაში მოსვლა, რის გამოც საზოგადოება დეზინტეგრირებული ხდება, რაც წარმოშობს დევიაციას, შესაბამისად დანაშაულის ჩადენის ალბათობაც იზრდება.

6.1 სოციალური ინტეგრაცია, სოციალური რეგულაცია და განწყობა

„სოციალური სისტემების სტაბილობისა და მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია (1) სოციალური ნორმების სრულყოფილი სისტემის (მაგ. სამართლის) და (2) მისი ჯეროვანი გამოყენებისთვის საჭირო ფსიქოლოგიური მზაობის (სამართლებრივი კულტურის და მართლცნობიერების შემადგენელი განწყობები, ათითუდები და მოლოდინები) მქონე საზოგადოების არსებობა“ (ნადარეიშვილი, 2017). როდესაც საუბარია სახელმწიფოზე, როგორც სოციალურ სისტემაზე, მნიშვნელოვანია მას გააჩნდეს სრულყოფილი რეგულაციური თუ ინტეგრაციული მექანიზმები აღმოცენებულ პრობლემებზე სარეაგიროდ და სოციუმის სტაბილობის შესანარჩუნებლად. შესაძლოა სამართალი სრულყოფილი იყოს, მაგრამ საზოგადოებაში არ არსებობდეს მისი დაცვისთვის საჭირო განწყობები.

ძლიერი სოციალური კონტროლი გულისხმობს ინტეგრაციისა და რეგულაციური კომპონენტების თავსებადობას, როდესაც საზოგადოებებში მხოლოდ ერთი კომპონენტია აქტიური, ასეთ შემთხვევაში სოციალური კონტროლის არსებობას პრაქტიკულად მნიშვნელობა ეკარგება. როდესაც მხოლოდ რეგულაციური მექანიზმი მუშაობს, ნიშნავს, რომ ხდება სოციუმის წევრების გარედან კონტროლი, რაც მოიაზრებს ნორმატიულად მოქცევის იძულებას უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან. ნეგატიური პასუხისმგებლობის შიშით, ინდივიდი ბლოკავს არანორმატიულ ქცევას და აღძრავს შესაფერის ნორმატიულს, რომელიც მხოლოდ ერთჯერადად გამოსადეგია. განწყობის კუთხიდან რომ შევხედოთ, მხოლოდ სოციალური რეგულაციის არსებობა ნიშნავს სიტუაციური განწყობების ჩამოყალიბებას ინდივიდში. ყოველ ჯერზე, რამდენჯერაც სამართალდამცავს ხედავს ადამიანი, უწევს ნორმატიული ქცევისთვის საჭირო განწყობების ფორმირება, რათა იმ სიტუაციისთვის საჭირო კონფორმული ქცევა განახორციელოს, შესაბამისად მის მიერ დახარჯული რესურსი და ენერგია ყოველ ჯერზე გაცილებით მეტია, ვიდრე იმ ადამიანის, რომელიც ნორმატიული ფიქსირებული დისპოზიციური განწყობებით მოქმედებს. მას ყოველთვის უწევს თავიდან განწყობის დიფერენცირება არსებული გარემოს

გათვალისწინებით და შესაფერისი ქცევის არჩევა,რადგან სიტუაციური განწყობები დროებითი და ერთჯერადია. ის ქცევის დასრულების შემდგომ აუცილებლად ქრება. რა თქმა უნდა, შესაძლებელია მისი გაფიქსირება სტიმულის განმეორებით მიწოდების შედეგად. ამ შემთხვევაში, თუ ინდივიდის არანორმატიულ ქცევას ყოველ ჯერზე უფლებამოსილი პირისა და ორგანოს მხრიდან შესაფერისი რეაქცია მოჰყვა, ის აუცილებლად ფიქსირებულ განწყობად გადაიქცევა, თუმცა ეს სახელმწიფოსგან გაცილებით მეტ რესურსს მოითხოვს. ეს მხოლოდ იდეალური ვარიანტის შემთხვევაში,როდესაც რეგულაციური მექანიზმი უშეცდომოდ მუშაობს და ყოველ ჯერზე, სადაც და როგორც საჭიროა, რეაგირებს, თუმცა აღსანიშნია, რომ მსგავსი იდეალური პირობების უზრუნველყოფა საკმაოდ კომპლექსური საკითხია. შესაბამისად, მხოლოდ რეგულაცია არ არის საკმარისი სამომავლოდ ნორმატიული ქცევის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ საჭიროა ინტეგრირებულობის კომპონენტიც, რომელიც არა მხოლოდ საზოგადოებასთან მიჯაჭვულობის, მის საქმიანობაში ჩართულობის, მისდამი რწმენებისა და ვალებულებებისა და შინაგანი მართვის უნარის გამო აღძრავს ნორმატიულ ქცევებს, არამედ ნორმატიული ფიქსირებული ფსიქიკური წარმონაქმნების არსებობის გამო. შიგნიდან მართვისთვის სწორედ ამ წარმონაქმნების არსებობაა აუცილებელი. ინტეგრაცია გულისხმობს საზოგადოებასთან კავშირების ჩამოყალიბებას, რის გამოც მართავს საკუთარ თავს და არ ახორციელებს დანაშაულებრივ ქცევას. აღნიშნული კავშირების ჩამოყალიბება მყისიერად არ ხდება, მას დრო სჭირდება გაფიქსირებისთვის. ინტეგრაცია, პრაქტიკულად უზრუნველყოფს დისპოზიციური განწყობების არსებობას ინდივიდში. რა თქმა უნდა განწყობები შესაძლოა არანორმატიულიც ჩამოყალიბდეს, თუმცა საუბარი ნორმატიული დისპოზიციური განწყობების არსებობაზე გვაქვს. ინტეგრაცია სწორედ ასეთი განწყობების არსებობას გულისხმობს. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ის გამოცდილების პროდუქტია და ყოველ ჯერზე მდიდრდება და ივსება ახალი გამოცდილებით, შესაბამისად, ინდივიდს ყოველ ჯერზე რეგულაციისგან განსხვავებით არ უწევს მისი ფორმირება,არამედ აქტუალიზდება სიტუაციის შესაბამისად და მის მიერ დახარჯული რესურსი და ენერგია ნაკლებია. სასჯელიც სწორედ სიტუაციურის გამო ვერ უზრუნველყოფს შესაფერის

ნორმატიულ ქცევებს, რადგან მასში მხოლოდ ქცევის გარეგანი რეგულირება მოიაზრება, რომელიც ყოველ ჯეზე მხოლოდ სიტუაციურებს აფიქსირებს და გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ მოქმედებს. თუმცა აუცილებელია ორივე მექანიზმის (რეგულაციისა და ინტეგრაციის) კოორდინირებლი მუშაობა, რადგან რეგულაცია ერთი მხრივ, საჭიროა სიტუაციური განწყობის გასაფიქსირებლად, რათა ფიქსირებულად ჩამოყალიბდეს და მეორე მხრივ, საჭიროა მისი აქტუალიზაციისათვის,რადგან, ფიქსირებული განწყობები მის საფუძველზე შექმნილი სიტუაციური განწყობის გარეშე ვერ გადადის ქცევაში. ანუ ერთი მხრივ, საჭიროა იმისათვის, რომ ინტერნალიზდეს განწყობები ინდივიდში და მეორე-მხრივ რეალიზდეს ფიქსირებული. ამიტომ მნიშვნელოვანია ინდივიდის ფიქსირებულ ფსიქიკურ წარმონაქმნებზე მოქმედება ნორმატიული ქცევების გასაფიქსირებლად და გარეგანი რეგულაციური მექანიზმებით, მაგალითად, სასჯელით მათი ან რექტუალიზაცია ან თავდაპირველ ეტაპზე ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

6.2 სოციალური ინტეგრაცია, როგორ მთავარი რგოლი სოციალური კონტროლის ჯაჭვში

ინტეგრაციის კომპონენტს სოციალურ კონტროლში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება, რადგან ის უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ინდივიდის კავშირს და არსებული ბმები ყველაზე კარგი შემაკავებელი მექანიზმია. თუმცა,როგორც აღინიშნა სოციალურ ინტეგრაციაში მხოლოდ საზოგადოებასთან არსებული ბმები არ მოიაზრება, არამედ შინაგანი მართვის უნარიც. შესაბამისად, სწორედ იმიტომ მართავს ინდივიდი საკუთარ თავს, რომ აღნიშნული კავშირები არ დაერღვეს საზოგადოებასთან. გარდა ამისა, თუ ვსაუბრობთ ინტეგრაციის დროს დისპოზიციურ (ამ ეტაპზე იგულისხმება ფიქსირებული განწყობები) განწყობებზე და სოციალური რეგულაციის დროს - სიტუაციურზე, უფრო ცხადი ხდება მისი უპირატესობა. აქ მნიშნელოვანია ხაზი გავუსვათ იმას, თუ რატომ არის უმჯობესი დისპოზიციური განწყობა. როგორც უკვე აღინიშნა,

სიტუაციური გაწყობა დროებითია და არასტაბილური, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთანავე ქრება, ფიქსირებული განწყობა კი სტაბილური და გამოცდილების პროდუქტია, რომელმაც უკეთ იცის რეაგირება სიტუაციაზე. ახალი გამოცდილება უკვალოდ არ იკარგება, არამედ აუცილებლად აისახება მასში და სხვა სიტუაციაზე განავრცობს ანუ გენერალიზებადობა შეუძლია, რაც სიტუაციურს არ ახასიათებს. გარდა ამისა დისპოზიციური განწყობა არაცნობიერ დონეზე (იმპულსური ქცევის პლანი) მიმდინარეობს. სიტუაციური განწყობის შემთხვევაში კი საუბარი გვაქვს მუდმივ ობიექტივაციაზე და მუდმივად აზროვნებისა და ნებელობის გამოყენებაზე შესაფერისი ქცევის აღსაძრავად, როდესაც ფიქსირებული განწყობის დროს განწყობა უპრობლემოდ იქმნება სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მეშვეობით და უპრობლემოდ გადადის ქცევაში. სწორედ ამიტომ მარტივდება პროცესი, მას მუდამ „ხელოვნური“ რესურსის გამოყენება არ უწევს და შეუძლია ქცევის შეუფერხებლად აღძვრა. სწორედ ამიტომაა რეგულაციის დროს დახარჯული რესურსი და ენერგია გაცილებით მეტი, როდესაც ინტეგრირებულობის დროს გაცილებით იზოგება.

6.2.1 სიტუაციური, ფიქსირებული თუ დისპოზიციური განწყობა?

სიტუაციური განწყობა,როგორც უკვე აღინიშნა არის პირველადი, ერთჯერადი განწყობა, რომელიც აქტუალური გარემოსა და მოთხოვნილების კვალობაზე შეიქმნა, მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციას ერგება და მხოლოდ აწმყოში არსებობს. შესაბამისად სუბიექტური - მოთხოვნილების ან ობიექტური ფაქტორის - გარემოს/სიტუაციის არარსებობის შემთხვევაში მსგავსი ტიპის განწყობა ვერ გადადის შესაბამის ქცევაში და პრაქტიკულად, უსარგებლოა, თუმცა მასაც სხვა განწყობების მსგავსად ადაპტური ფუნქცია გააჩნია. აქედან გამომდინარე, თუ გვინდა ვისაუბროთ გამძლე განწყობებზე, რომლებიც ინტეგრირებულობის მაღალ დონეს უფრო მეტი ალბათობით განაპირობებენ, საჭიროა გავარკვიოთ განსხვავება ჩვეულებრივ ფიქსირებულ განწყობასა და ფიქსირებულ დისპოზიციურ განწყობას შორის, რადგან ისინი წარმოადგენენ დროში სტაბილური ქცევის

ფსიქოფიზიკურ მზაობებს. გარდა ამისა,ფიქსირებული განწყობების პრიორიტეტი არის მათი სიმარტივე, რაშიც იგულისხმება პროცესის წარმართვის შეუფერხებლობა. სიტუაციური განწყობების დროს რთულია ქცევაში გადასვლა, რადგან პირველ ეტაპზე მისი განწყობა დიფუზურია, რომელიც იწყებს გამოდიფერენცირებას, ამ პროცესში ის აფასებს ქცევის რომელი ვარიანტია შესაფერისი, იყენებს ცნობიერ რესურსებს - აზროვნებასა და ნებელობას, რომ ქცევა აღძრას და მხოლოდ ამის შემდეგ ახორციელებს ქცევას. ფიქსირებულების დროს კი ეს პროცესი გაცილებით მარტივია, რადგან მათ გამოცდილებაში უკვე აქვთ შესაფერისი ქცევითი მზაობები და აგზნებადობის მაღალი დონე, რის შედეგადაც არ სჭირდებათ დამატებითი ცნობიერი რესურსების გამოყენება და პრობლემოდ (იმპულსური ქცევის პლანი) აღძრავენ ქცევას.

ჩვეულებრივი ფიქსირებული განწყობა, განსხვავებით სიტუაციურისგან არ საჭიროებს ორივე ფაქტორის (სიტუაცია და მოთხოვნილება) აქტუალურ მდგომარეობაში ყოფნას, არამედ ერთი მათგანიც კი საკმარისია განწყობის გააქტიურების,გამოცოცხლების პროცესის დასაწყებად. ანუ ამ შემთხვევაში უკვე შექმნილი განწყობის რეალიზაციაზე ვსაუბრობთ, ფიქსირებული განწყობა შექმნილია სიტუაციური განწყობისგან, რა თქმა უნდა, ორივე ფაქტორის არსებობის პირობებში, თუმცა სიტუაციურს ისევ ორივე მათგანი სჭირდება ქცევის ხელახალი აქტუალიზაციისათვის, ფიქსირებულისთვის კი მხოლოდ ერთი ფაქტორის არსებობაა საკმარისი. აქედან გამომდინარე განწყობის დიფერენციაციის პროცესში ჯერ სიტუაციური განწყობა ყალიბდება, რომლის მრავალჯერადი გაფიქსირების შედეგად ვიღებთ ფიქსირებულს და საბოლოოდ მივდივართ დისპოზიციურ განწყობამდე, რომელიც ინდივიდის ნიშნად,კუთვნილებად ქცეული მახასიათებელია. მას, ფიქსირებულის მსგავსად მხოლოდ ერთი ფაქტორის აქტუალურ მდგომარეობაში ყოფნა სჭირდება იმისათვის, რომ გამოცოცხლდეს და რეაქტუალიზდეს, თუმცა ფიქსირებულისგან განსხვავებით მისი ასიმილაციის ზონა არის გაცილებით ფართო. ასიმილაციის ზონა მარტივად რომ ვთქვათ,არის მიმსგავსებული გარემო, რაც ნიშნავს, რომ გარემო,რომლის წინაშეც აღმოჩნდა ინდივიდი, ჰგავს გარემოს, რომელშიც მას ჩამოუყალიბდა ფიქსირებული განწყობა. როდესაც ინდივიდს ოდნავ სხვაგვარ სიტუაციაში უწევს

ადაპტაცია და „როდესაც აქტუალიზებულ ფიქსირებულ განწყობასა და მოცემულ ვითარებას შორის განსხვავება მცირეა, ინდივიდი ახდენს სიტუაციის ასიმილაციას და მის ქცევას ოდნავ შეუსატყვისი ვითარება ვერ აფერხებს“ (ნადირაშვილი, 1985, გვ. 214). შესაბამისად, ინდივიდი აღმოცენებული ფიქსირებული განწყობის მეშვეობით მაინც ახერხებს აქტუალიზაციას, მიუხედავად იმისა,რომ გარემო ოდნავ განსხვავებულია. ასევეა დისპოზიციური განწყობაც, თუმცა მისი ასიმილაციის ზონა ფიქსირებულთან შედარებით უფრო დიდია, რაც ნიშნავს, რომ მისი აქტუალიზაციისათვის შესაფერისი გარემოს რაოდენობა გაცილებით მეტია, რის გამოც პრიორიტეტულია ფიქსირებულთან შედარებით. დისპოზიციურ განწყობაში ასახულია საზოგადო ღირებულებები ფიქსირებულის მსგავსად, მაგრამ ასამოქმედებლად ფიქსირებულს ესაჭიროება პრაქტიკულად იგივე ფაქტორი, რაზეც ჩამოყალიბდა, თუმცა დისპოზიციურის დიაპაზონი გაცილებით ფართოა. გარდა ამისა, მას თავისი რესურსით შეუძლია სიტუაციური განწყობის შექმნა რეალიზაციისათვის და არ სჭირდება სიტუაციური ფაქტორის თანხვედრა მოთხოვნილებასთან, რადგან თუ მოთხოვნილება აქვს, შეუძლია აქტივობის აღძვრა აქტუალური გარემოს შესაქმნელად ანუ აქვს ტენდენცია რეალიზდეს და არა მხოლოდ შეუძლია შექმნას ასეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს რეაქტუალიზაციას, არამედ აქვს კიდეც უნარი გადავიდეს ქცევაში. თუ ნორმატიული ქცევის განწყობებზე ვისაუბრებთ, არა მხოლოდ უნარი აქვს, არამედ სურვილიც, მოიქცეს ნორმატიულად ანუ ცდილობს მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი სიტუაცია მოძებნოს და რეაქტუალიზდეს. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მარტივად აგზნებადია ფიქსირებულთან შედარებით,მისთვის რეაქტუალიზაციის პროცესი გაცილებით მარტივია, რადგან ვრცელია მისი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი სიტუაციების რაოდენობა, ასევე ის სიმტკიცით ხასიათდება - შეუძლია არა მხოლოდ სტაბილურად დროში შეინარჩუნოს განწყობა,არამედ მისი საწინააღმდეგ განწყობები არ შემოუშვას მასში,შესაბამისად წინ აღუდგეს და პრაქტიკულად დაიცვას დისპოზიციები. რეალურად, დისპოზიციურ განწყობას სხვისი და საკუთარი წარსული და აწმყო გამოცდილებით შეუძლია კონკრეტული ქცევების აღძვრა ან ბლოკირება და მომავალი სარგებლის გათვალისწინებით ხელთ არსებული,აწმყოში არსებული სარგებლის დათმობა.

აქედან გამომდინარე, ყველაზე სასურველი სწორედ დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების ფორმირებაა, რადგან ის ქცევის ყველაზე სანდო პრედიქტორია და ნორმატიული განწყობების გაფიქსირების შედეგად ყველაზე დიდი ალბათობით უზრუნველყოფს ნორმატიულ ქცევას. ასევე ხელს უწყობს პოზიტიური პასუხისმგებლობის განვითარებას ინდივიდში სწორედ იმ ფაქტის გამო,რომ პოზიტიურ პასუხისმგებლობას,მის მსგავსად აქვს რეალიზაციის ტენდენცია,რის გამოც ის თავს ვალდებულად გრძნობს და სურს დაემორჩილოს ნორმებს, რადგან პასუხისმგებლობას იაზრებს საზოგადოების წევრების მიმართ,შესაბამისად, პასუხისმგებლობის ამ დონის განვითარება შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამართლებრივი კულტურის[5], ინტეგრირებულობის მაღალ დონეს ნიშნავს. ანუ ნორმატიული დისპოზიციური განწყობების შექმნით ყალიბდება პოზიტიური პასუხისმგებლობა, რაც შედეგად ძლიერ ინტეგრირებულობასა და სამართლებრივ კულტურას გვაძლევს, რის შედეგადაც დანაშაულის ჩადენის ალბათობა მცირდება. აქ მნიშვნელოვნია ნორმატიული განწყობების ჩამოყალიბებაზე ვისაუროთ, რადგან დისპოზიციურები შესაძლოა არანორმატიულიც ჩამოუყალიბდეს გამომდინარე მიწოდებული სტიმულის ხასიათიდან, ხოლო ჩვენ ხაზს ვუსვმთ იმას, თუ რა შემთხვევაშია ინტეგრაცია ყველაზე ძლიერი.

ჩვეულებრივი ფიქსირებული განწყობები და მით უმეტეს, სიტუაციური, როდესაც ნორმატიული განწყობები გვაქვს მხედველობაში, შედეგს ვერ მოგვცემს, რადგან ისინი სტაბილობისა და სიმტკიცის მაღალი მაჩვენებლებით არ ხასიათდებიან განსხვავებით დისპოზიციურისგან, რომელსაც შეუძლია არა მხოლოდ ხანგრძლივად შენარჩუნდეს და სტაბილური იყოს, არამედ არასასურველ სტიმულებთან წინააღმდეგობის გაწევის უნარი ჰქონდეს ანუ არანორმატიულ ქცევას შეეწინააღმდეგოს. შესაბამისად, სიტუაციური მხოლოდ ერთჯერადი განწყობაა, რომელიც მოთხოვნილებისა და გარემოს თანხვედრის პირობებში წარმოიქმნება და დაკმაყოფილებისთანავე ქრება, ფიქსირებული სტაბილურია,

[5] სამართლებრივი კულტურა წარმოადგენს „სამართალზე ორიენტირებული სოციალური ქცევისა და ატიტუდების სტაბილურ პატერნს“ (Nelken, 2004, გვ. 1) .

თუმცა ქცევის აღსაძრავად მას სწორედ იმ გარემოს ფაქტორის თანხვედრა სჭირდება მოთხოვნილებასთან, რაზეც შეიქმნა, დისპოზიციური კი თავად ქმნის სიტუაციას და თვითონ შეუძლია რეაქტუალიზაცია, შესაბამისად, მასში საზოგადოებრივი ნორმების ინტეგრირებულობის ხარისხი გაცილებით ძლიერი,სტაბილური და მტკიცეა და სწორედ მათი არსებობაა მნიშვნელოვანი ინტეგრაციის სიძლიერისათვის,რომელიც სოციალური კონტროლის საფუძველია. მართალია აუცილებლობით არ ნიშნავს სოციალური კონტროლის მაღალ დონეს, თუმცა ყველაზე მძლავრი მარეგულირებელი მექანიზმია. სიტუაციურის დროს ინდივიდი სხვების მიერ შექმნილ განწყობებს, გამოცდილებას იღებს და იმის მიხედვით ქმნის სიტუაციურ განწყობას და ქცევას ანუ სხვისი გამოცდილება ჯერ საკუთარ პროდუქტად ჯერ არ უქცევია, მხოლოდ ერთჯერადად საჭიროებებიდან გამომდინარე შექმნა აქტუალიზებადი და აქტუალური განწყობა, რომელიც რეალიზებითანავე ჩაქრა, რადგან ინდივიდში ინტერნალიზებული არ იყო. ამ შემთხვევაში მისი სოციალიზაციის დონე ყველაზე დაბალია, ხოლო მის მიერ დახარჯული რესურსი და ენერგია - გაცილებით მეტი,რადგან ყოველ ჯერზე მისი შექმნა უწევს. ფიქსირებულის ან დისპოზიციურის შემთხვევაში კი მხოლოდ განწყობის გამოცოცხლებაზე ვსაუბრობთ, რომელიც უკვე გაფიქსირებული და ინტერნალიზებულია, რომლის რეაქტუალიზაციის შედეგადაც დახარჯული რესურსი და ენერგია გაცილებით ნაკლებია,ქცევის აღძვრა გაცილებით მარტივი, შესაბამისად, სოციალიზაცია გაცილებით ძლიერი და კარგი, თუმცა ყველაზე ძლიერი არის, რა თქმა უნდა დისპოზიციური განწყობების შემთხვევაში, რადგან ნორმატიული ქცევა, მარტივად თუ ვიტყვით, ინდივიდისათვის უკვე ცხოვრების წესადაა ქცეული.

6.3 სოციალიზაცია და განწყობა

როგორც აღინიშნა, ძლიერი სოციალური ინტეგრირებულობა ნიშნავს ძლიერი დისოზიციური გაწნყობების არსებობას, თუმცა ინდივიდს დისპოზიციური განწყობები მყისიერად, რა თქმა უნდა, არ უყალიბდება, ის დროთა გამავლობაში, თუ ერთი და იმავე

სტიმულის მიწოდება სათანადოდ მოხდა, ფიქსირდება და სტაბილურდება. შესაბამისად, ფიქსირებული ფსიქიკური წარმონაქმნების ფორმირება უზრუნველყოფილია სოციალიზაციის პროცესში. სოციალიზაციას, როგორც წესი მოიხსენიებენ ადამიანის განვითარების პროცესად. ეს არის ინდივიდის საზოგადოებასთან მორგება. ხშირად მას ბავშვის განვითარებასაც ადარებენ და პროცესი, როდესაც ბავშვი ვითარდება, არის სწორედ სოციალიზაცია. საზოგადოება შედგება სხვადასხვა სახის როლებისა და ღირებულებებისგან, ხოლო როდესაც ბავშვი ფეხს აბიჯებს ამ სისტემაში,მაშინ იწყება სოციალიზაციის პროცესი (Corsaro & Fingerson, 2006), თუმცა მისი ნაბიჯი სოციალურ სისტემაში პრობლემატურია, რადგან ის „საფრთხეს წარმოადგენს მანამ, სანამ სოციალიზებული არ იქნება“ (Corsaro & Fingerson, 2006, გვ. 128). შესაბამისად, ესაა პროცესი, როდესაც ინდივიდი ადაპტირდება საზოგადოებასთან, გავრცელებული ნორმების, ღირებულებების ათვისებას იწყება, რომლითაც, პრაქტიკულად მარტივდება საზოგადოებრივი ურთიერთობები, რადგან ამგვარად უფრო ადვილდება ინტერაქციის პროცესი. შესაბამისად, ინდივიდს სჭირდება სოციუმთან ადაპტირება და მათთან კავშირების გაძლიერება, რადგან ამით ნაკლები რესურსითა და ენერგიით ახერხებს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ანუ ინდივიდ საზოგადოებასთან თავსებადობაში მოდის გავრცელებული სოციალური ნორმების ათვისებას, გაშინაგნებითა და გასუბიექტურებით, სწორედ ეს არის ინტერნალიზაცია. როდესაც ინდივიდი „უმკლავდება პრობლემებსა და ფორმალური დასწავლის გზით მიჰყვება სოციალურ ნორმებს და საბოლოოდ აინტერნალიზებს სოციალურ სისტემას“ (Parsons & Bales, 1955 ციტირებულია წყაროში Corsaro & Fingerson, 2006, გვ. 128), რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს სოციალურ კონტროლს, რომლითაც საზოგადოება ცდილობს ინდივიდის ქცევების განმტკიცებას, ნორმების მის საკუთრებად ქცევას და ამით ქმნის ფიქსირებულ ფსიქიკურ წარმონაქმნებს, კონკრეტული ქცევის განწყობებს, რომ შეძლოს აღნიშნული ნორმებით ხელმძღვანელობა და შემდგომ უკვე საკუთარი ქცევის კონტროლი. სოციალიზაციის პროცესში არის შესაძლებელი შეიქმნას სამივე ტიპის განწყობა-სიტუაციური,ფიქსირებული და დისპოზიციური, რაც განსაზღვრავს სამომავლოდ არა მხოლოდ ინდივიდის სხვადასხვა

ტიპის ქცევას, არამედ ქცევის კონტროლის ხარისხსაც, რამდენად შეეძლება პიროვნებას მომავალი ქცევის შეკავება ან აღძვრა შესაბამისი სარგებლისა და დანახარჯის არა მხოლოდ სუბიექტური ხედვის (მოთხოვნილებების), არამედ საზოგადოებრივი პერსპექტივის (მოლოდინების, ქცევის წესებისა და ღირებულებების) გათვალისწინებით. არასრულ სოციალიზაციაზე და მის დაბალ ხარისხზე შეგვიძლია ვუსაუბროთ მაშინ,როდესაც ყალიბდება სიტუაციური განწყობები. გამომდინარე აღნიშნული განწყობების მახასიათებლებიდან, ქცევა,რომელიც მის საფუძველზე ხორციელდება, არის დროებითი და წარმავალი,შესაბამისად, თუ ვსაუბრობთ სოციალიზებულ ადამიანზე, ასეთ ინდივიდს უნდა შეეძლოს ნორმებით ხელმძღვანელობა სტაბილურად და როდესაც კი ვახსენებთ ინტერნალიზაციას, აშკარა ხდება, რომ სიტუაციური განწყობების დროს ინტერნალიზებულ ნორმებზე ვერ ვისაუბრებთ, რადგან ასეთი განწყობა მხოლოდ სიტუაციის შესაბამისადაა შექმნილი. ინტერნალიზება კი გულისხმობს დროის პერიოდში ნორმების გასუბიექტურებას. ინტერნალიზაცია, აღნიშნავს კელმანი, ხდება მაშინ,როდესაც ინდივიდი თანხმდება მასზე ზეგავლენას, რადგან მის მიერ განხორციელებული წარმატებული ქცევა ჯილდოს, სარგებლის მომტანია მისთვის (Kelman, 1958). აქ ხაზი აქვს გასმული ინტერნალიზაციის პროცესში განმამტკიცებლის მნიშვნელობას. შესაბამისად, სიტუაციური განწყობა კარგი სოციალიზაციის წინაპირობა ვერ იქნება, რადგან ქცევას,რომელიც მის საფუძველზე განხორციელდა, განმტკიცება სჭირდება დროთა განმავლობაში და საზოგადოების მხრიდან. შესაბამისად, როდესაც მსგავსი ქცევისთვის ინდივიდს შესაფერისი სტიმული მიეწოდება, როდესაც მისი ქცევა დარეგულირდება საზოგადოების თუ სახელმწიფოს მხრიდან შესაფერისი წაახალისებელი თუ დამსჯელი სტიმულების შედეგად, ინდივიდი დაისწავლის ქცევას და მსგავსი ქცევის ფიქსირებული განწყობა ჩამოუყალიბდება, შესაბამისად, სოციალიზაციის უფრო მაღალ დონეს მიაღწევს. ასევე,სოციალიზაცია არ გულისხმობს მხოლოდ პასიურ ინტერნალიზებას, არამედ აქტიურად წვლილის შეტანას საზოგადოების ცვლილებასა და განვითარების პროცესში და ნორმების დაცვაში აქტიურ მონაწილეობას (Corsaro & Fingerson, 2006, გვ. 130). შესაბამისად, ტენდენციას, ეძებოს ნორმატიული ქცევის განსახრციელებლად საჭირო სიტუაციები, ვერ

უზრუნველყოფს სიტუაციური განწყობა და ამ შემთხვევაში, ვერც ფიქსირებული და უკვე საჭირო ხდება დისპოზიციებით აქტივობა, რადგან მხოლოდ მას აქვს თვითაქტუალიზაციის რესურსი. ის არის განწყობის ფორმა, რომლისთვისაც მხოლოდ მოთხოვნილების არსებობა არის საკმარისი, რომ დაიწყოს მისი რეალიზაციისთვის შესაფერისი სიტუაციის ძებნა და დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება. ამასთან თუ გავიხსენებთ დისპოზიციურების უპირატესობას სხვა განწყობებთან შედარებით, მისი წარმატებულობა აშკარა ხდება. გარდა ამისა, ის მნიშვნელოვანია, რადგან მასში არის ასახული საზოგადოების ღირებულებები. ესენი წარმოადგენენ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც იბრძვიან ადამიანები და მათი ცხოვრების სახლმძღვანელო პრინციპებს შეესაბამება (Schwartz & Sagiv, 1995). ანუ ეს არის სასურველი მიზანი, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის ქმედებასა და სიტუაციების შეფასებაზე (Schwartz S. H., 1987). აქედან გამომდინარე ღირებულება არის ის, რაც ასახულია განწყობის სუბიექტურ ფაქტორში - ინდივიდის მოთხოვნილება მიაღწიოს სასურველ მიზნებს. თუმცა ღირებულება თავისი არსით, პირდაპირ ვერ აისახება ინდივიდის განწყობაში, რადგან ის არის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და ზოგადი აბსტრაქტული ცნებების ნაკრები, რომლებიც კონკრეტული ინდივიდის ღირებულებად იქცევა, თუ მასში ამ ინდივიდის მოთხოვნილებებია ასახული გარკვეული სახით. შესაბამისად ასეთი ტიპის ღირებულებას ინდივიდისთვის მნიშნელობა ენიჭება და ის ასუბიექტურებს მას ინტერნალიზაციის მეშვეობით. შესაბამისად, სოციალიზაციის პროცესში ღირებულებების ინტერორიზება ხდება და ის აისახება სწორედ განწყობის სუბიექტურ ფაქტორში. დისპოზიციები კი იმიტომაა ძლიერი, რომ ინდივიდი სწორედ ამ ღირებულებებით მოქმედებს და მისი რესურსი ამოუწურავია - მუდამ შეუძლია ქცევის აღსაძრავად საჭირო ენერგიის გაცემა და ინდივიდს, რომელიც ღირებულებებით მოქმედებს, მუდამ აქვს სურვილი მოძებნოს მის დასაკმაყოფილებლად საჭირო სიტუაციები. შეიძლება ითქვას,რომ ასიმილაციის ზონაც მას გაცილებით დიდი აქვს სწორედ იმიტომ, რომ ღირებულებაა ასახული მის მოთხოვნილებაში, რადგან ერთი ღირებულების დასაკმაყოფილებლად საჭირო უამრავი მსგავსი სიტუაცია არსებობს, რომელიც იცვლება სუბიექტურად, ინდივიდის დამოკიდებულებებიდან გამომდინარე. ანუ თავად

ღირებულების დიაპაზონია დიდი, რომელიც დისპოზიციური განწყობის დიაპაზონსაც განსაზღვრავს,რადგან ის ამოუწურავია. შესაბამისად, სოციალიზაცია ყველაზე ძლიერია ისეთი დისპოზიციური განწყობების შექმნის შემთხვევაში,რომელშიც ღირებულებებია ასახული და შექმნილი განწყობის კომპონეტები ძლიერია.

შესაბამისად, სოციალიზაცია უმაღლეს ხარისხს აღწევს მაშინ, როდესაც ინდივიდი მოქმედებს დისპოზიციური განწყობებით, რადგან ქცევის საფუძვლად მდებარე ქცევითი მზაობები ძლიერია. ძლიერია ნიშნავს, რომ აუცილებლად დისპოზიციურია, პირველ რიგში და მისი კომპონენტები -კოგნიტური,აფექტური, კონატური და შეფასებითი კარგად არის ჩამოყალიბებული და შეუფერხებლად აღძრავენ ქცევას. შესაბამისად, ინდივიდმა იცის, რომელი ქცევაა არანორმატიული, იცის საზოგადოების დამოკიდებულება ამ არანორმატიული ქცევისადმი, აქვს რესურსები მზად იმისათვის, რომ დაიცვას ნორმები და ამასთან, სურს, დაიცვას. თუ რომელიმე კომპონენტი არაა სათანადოდ ჩამოყალიბებული, ნიშნავს, რომ შესაფერისად ძლიერი არაა განწყობები და სოციალიზაციაც სუსტია. თუ ინდივიდმა იცის მხოლოდ,რომ კონკრეტული ქცევა დანაშაულია,თუმცა არ ჰქონდეს მზად სათანადო ინსტრუმენტები ქცევის განსახორციელებლად,მიუთითებს სუსტ განწყობებზე, რომელიც სათანადო სტიმულის მიწოდებას კიდევ საჭიროებს. მხოლოდ კოგნიტური ან რომელიმე სხვა კომპონენტის შექმნა სუსტი სოციალიზაციაა, ამიტომ სრულიად სტრუქტურიერებული, კარგად დიფერენცირებული და კარგად ფიქსირებული განწყობების ქონაა აუცილებელი და მნიშვნელოვანი მაღალი სოციალიზაციის მისაღწევად. ამიტომ ასეთი ძლიერი ნორმატიული დისპოზიციური განწყობები ნიშნავს კომპონენტების სისრულესა და თავსებადობას, რომელიც მუდამ წარმატებით აღძრავს ნორმატიულ ქცევას, შესაბამისად, სოციალიზაციის ხარისხიც გაცილებით მაღალია. ინდივიდისთვის ნორმატიულად მოქცევის მდგომარეობა ბალანსის, წონასწრობის მდგომარეობაა, რადგან მისთვის ნორმატიული ქცევა უკვე ნორმაა,უკვე მისი კუთვნილებაა, რომლის რეალიზაციისათვის განწყობების ჩამოყალიბება არ უწევს,არამედ ის ჩამოყალიბებული და გამდიდრებულია წარსული გამოცდილებით. თუ ვსაუბრობთ იმგვარ სოციალიზაციაზე, როდესაც ნორმატიული ქცევითი მზაობები გვაქვს, პრაქტიკულად ვგულისხმობთ

სამათლებრივ სოციალიზაციას, რომელიც „წარმოადგენს სამართლებრივი მოვლენების შესახებ წარმოდგენების, შეფასებებისა და განწყობების ერთობლიობას“ (Silbey, 2001, გვ. 8626). ეს არის „ადამიანების მიერ სათანადო ქცევის ზომების განმსაზღვრელი კანონების, სამართლებრივი ცოდნისა და მოთხოვნების ათვისება, საკუთარი უფლებებისა და მათი რეალიზაციის საშუალებების გაცნობიერება, აგრეთვე სხვადასხვა ადამიანს, მათ ჯგუფებსა და სოციალურ ინსტიტუტებს შორის რთული სამართლებრივი ურთიერთობის გაგება“ (ამინოვი, 2014, გვ. 57). ამრიგად, სამართლებრივ სოციალიზაციას გადის ინდივიდი და ამ პროცესში სამართლებრივ განწყობებს იყალიბებს, რომლებიც საჭიროა ნორმატიული ქცევებს განსახორციელებლად.

ამას გარდა, სოციალიზაციისთვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ინტერაქცია (Corsaro & Fingerson, 2006). ინდივიდის სხვებთან ურთიერთობის მეშვეობით ხდება სწორედ ნორმების,ღირებულებების ინტერნალიზება და განწყობების ჩამოყალიბება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ოჯახი, არამედ თანატოლები, მეზობლები,სკოლა (Corsaro & Fingerson, 2006). მათთან ინტერაქცია იძლევა იმპლიციტურ თუ ექსპლიციტურ მინიშნებებს,რა არის მისაღები და რა - არა სოციუმში, შესაბამისად, რა სახის ღირებულებები გააჩნიათ. ბავშვი კი ითვისებს მათ, რადგან სურს მათი წევრი იყოს, სწავლობს მათთვის მისაღებ ნორმებს,ეცნობა ღირებულებებს, სწავლობს რას მოელიან მისგან და მათი მოლოდინებიდან გამომდინარე იყალიბებს შესაფერის ფიქსირებულ განწყობებს. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, საჭირო სიტუაციური განწყობები ყალიბდება და დროთა განმავლობაში-დისპოზიციური.

უზნაძე (უზნაძე, 1977) აღნიშნავს, რომ საზოგადოებიდან ინდივიდები იღებენ სხვის შექმნილ განწყობებს, გამზადებულ იდეოლოგიებს, რომელიც მათი საკუთრება ხდება, თუმცა განწყობის ასე მარტივად ინდივიდის საკუთრებად ქცევა არ ხდება. სხვის განწყობებს საკუთარ განწყობად ვერ აქცევ, უბრალოდ იღებ მის ელემენტებს, მასში არსებულ რესურსებს, აქცევ განწყობის ფაქტორებად და ასუბიექტურებ შენი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ჰქმნი სიტუაციურ განწყობას და მხოლოდ ამის შემდგომ,თუ მრავალჯერ გაფიქსირდა, იქცევა ფიქსირებულად, რომელიც უკვე წარმოადგენს ინდივიდის კუთვნილ

განწყობას. პრაქტიკულად, ეს არის ინტერნალიზაციის პროცესი, რომლის დროსაც სხვის მიერ შექმნილი განწყობის ფაქტორების გადარჩევა და მათი შეწონილობის მიხედვით პიროვნულ საკუთრებად ქცევა ხდება. ანუ სხვისი განწყობა ინდივიდის განწყობა ასე არ ხდება, სიტუაციურიც კი არა, არამედ მხოლოდ ელემენტების ერთიანობაა თავდაპირველად, რაც საჭიროა იმისათვის,რომ ინდივიდმა ქცევისთვის სიტუაციური განწყობა შექმნას, ხოლო სიტუაციურის ქცევაში გადასვლის შემდგომ კი თუ კიდევ ხდება ამგვარი ქცევის გაფიქსირება, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქცევა რიგით ფიქსირებულ განწყობად. პრაქტიკულად, საზოგადოებაში არსებული სოციალური ნორმები, ნორმატიული ქცევისთვის მზაობები მაშინვე ინდივიდის განწყობად ვერ იქცევა,ინდივიდი მხოლოდ იმის გამო,რომ სხვა ამ ნორმატიული სისტემით მოქმედებს ვერ აიძულებს მას მსგავსად მოიქცეს, არამედ უნდა მოხდეს შეფასება და მისი შემადგენელი ელემენტების ინდივიდუალურ მოთხოვნილებებთან, ფასეულობებთან მორგება, ამის შედეგად კი უკვე შეიძლება ინტერნალიზდეს და წარმოქმნას სიტუაციური, ერთჯერადი განწყობა, ხოლო სამომავლოდ ფიქსირებულის ჩამოყალიბება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განმეორდება და განმტკიცდება ამგვარი სიტუაციური განწყობა. თუმცა კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავუსვა იმას, რომ ფიქსირებული განწყობები ყოველთვის ნორმატიულ ქცევას ვერ უზრუნველყოფს გასხვავებით დისპოზიციურისგან, რადგან მას აუცილებლად სჭირდება სუბიექტური ან ობიექტური ფაქტორის დახმარებით რეაქტუალიზება ანუ მაგალითად, უფლებამოსილი ორგანოები ნორმების შეხსენებით ადამიანებს აიძულებენ მოიქცნენ კონფორმულად მაშინაც კი,როდესაც რომელიმე ფაქტორი არ გვაქვს სახეზე, პრაქტიკულად, ისინი ითავსებენ განწყობის რეაქტუალიზაციისათვის საჭირო [ამ შემთხვევაში] გარემო ფაქტორის როლს. ანუ ის მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სათანადო აღმძვრელი აქვს, რომელიც არის სიტუაცია და რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ უფლებამოსილი ორგანოები და პირები. აქედან გამომდინარე, ფიქსირებული წარმონაქმნის დროს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტეგრირებულობის გარკვეული დონე არის ინდივიდში, თუმცა თუ მისი გააქტიურება რეგულაციური მექანიზმებით არ მოხდა, ნორმატიული ქცევა არც აღმოცენდება. დისპოზიციური განწყობის შემთხვევაში კი ინდივიდი არ საჭიროებს აღმძვრელს, რადგან

ეს აღმძვრელი თავად არის, თვითონ შეუძლია რეაქტუალიზდეს და ამისთვის გარე აღმძვრელის არსებობა აუცილებელი არაა, არამედ ცდილობს ისეთი სიტუაციის შექმნას, რომელიც საშუალებას მისცემს რეალიზება გაუკეთოს განწყობას. ამრიგად, ფიქსირებულის შედეგად მხოლოდ კონფორმული ქცევა შეგვიძლია უზრუნველვყოთ, თუმცა მხოლოდ კონფორმული ქცევა არ არის საკმარისი საზოგადოების განვითარებისათვის,არამედ საჭიროა ინოვაციური ქცევების ინიცირებაც. დისპოზიციური განწყობების მქონე ინდივიდი მუდამ ნორმატიულ ქცევას ახორციელებს, ნებისმერ სიტუაციაში და არა მარტო კონფორმულია, არამედ სურვილიც აქვს იმისა,რომ ნორმები არ დაარღვიოს და ახალი ქცევებიც წარმოქმნას, რომელიც განამტკიცებს მის ნორმატიულ განწყობებს. დისპოზიციურს შეუძლია ახალი ქცევების შექმნაც, თუმცა ის მაინც გამოცდილების პროდუქტია, ნებელობა კი არის ის, რომელსაც სრულიად ახალი, არარსებული ფაქტორებიდან შეუძლია მომავლის საფუძველზე შექმნას განწყობა და წარმოქმნას ქცევა. ამიტომ შინაგანი ინტეგრაცია მოაზრებს, როგორც განწყობისეულ, ასევე ცნობიერ, ნებელობისეულ რეგულაციას და სწორედ მაშინ არის სოციალიზაციის პროცესიც წარმატებული, როდესაც ინდივიდში როგორც დისპოზიციური შეიქმნა, ასევე ნებელობითი უნარ-ჩვევები,აზროვნება განუვითარდა, მომავლის გათვალისწინება შეუძლია აწმყო ქცევის განსახორციელებლად. ანუ ისეთი განწყობების ფორმირება და იმგვარი ქცევების აღძვრა შეუძლია, რომელიც არ დაუსწავლია სოციალიზაციის პროცესში.

თავი 7. დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალური კონტროლის სიძლიერე განპირობებულია ინტეგრირებულობით საზოგადოებასთან, რადგან ძლიერი ინტეგრაცია მოიაზრებს დისპოზიციური განწყობების ფორმირებას. აღნიშნული წარმონაქმნის ფორმირება კი არ ხდება თავისთავად, ეს უზრუნველყოფილია სოციალიზაციის პროცესში, ხოლო დისპოზიციების ჩამოყალიბება განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. შესაბამისად, მათი არსებობა მრავალი ფაქტორის გამო უმჯობესია ფიქსირებულ და მით უმეტეს, სიტუაციურ განწყობებთან შედარებით.

თეორიული ანალიზის ლიმიტები და რეკომენდაციები სამომავლო კვლევებისთვის. რაც შეეხება თეორიული ანალიზის ლიმიტებს, მნიშვნელოვანია რამდენიმე შეზღუდვა. პირველ რიგში, სოციალურ ინტეგრაციაში მოაზრებული კომპონენტების მიმართება განწყობასთან.აღნიშნულ კვლევაში მხოლოდ არის საუბარი ინტეგრაციაზე, როგორც შინაგანი კონტროლის უნარზე და განხილვის გარეშე რჩება კომპონენტების მიმართება, რომლის კავშირი სამომავლოდ ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება განსახილველად. გარდა ამისა, ნაშრომში არის მცირე ნაწილი დათმობილი დეზორგანიზაციის თეორიას, რომელიც წარმოადგენს შესავალს შემდგომი კვლევებისათვის. აღნიშნულ ნაშრომში არ არის დეტალურად განხილული მისი კავშირი ინტეგრირებულობასა და განწყობების ფორმირებასთან, რადგან ეს უბრალოდ დასაწყისია ერთაგვარი მცირე ჩანასახის სახით, რომელიც სამომავლოდ უფრო სიღრმისეული ანალიზის გაკეთების საშუალებას მოგვცემს. განსაკუთრებით საინტერესო იქნება მისი შესწავლა არაინტეგირებულობასთან მიმართებით, როგორც განწყობების არათავსებადობის შედეგი. ასევე მნიშნელოვანია როგორ ხდება შესაბამისი განწყობების გაფიქსირება და ჩამოყალიბება ინდივიდში, რადგან აღნიშნული პრევენციის ნებისმიერ დონეზე არსებითი გამოყენების იქნება. პრევენციის პირველ დონეზე საუბარი იქნება შესაფერისი ნორმატიული დისპოზიციური განწყობების ფორმირებაზე, მეორე და მესამე დონეზე კი, არსებულის შეცვლაზე - ძველის მოშლასა და ახლის დაშენებაზე. ინტეგრირებულობის დონის

ასამაღლებლად აუცილებელია დისპოზიციური განწყობები და რაც უფრო ადრე დაიწყება განწყობების ფორმირების პროცესი, მით უფრო ეფექტური იქნება შედეგიც. სასჯელის სწორედ იმიტომ ვერ გვაძლევს ეფექტურ შედეგს, რომ მხოლოდ ქცევის გარეგან რეგულირებას მოიაზრებს,იწვევს სიტუაციური განწყობების ფორმირებას და ერთჯერადია. გარდა ამისა, არ არის განხილული ნებელობის როლი ინტეგრაციაში და მისი მიმართება დისპოზიციურ განწყობასთან. დისპოზიციური არის ნამდვილად უმჯობესი ვარიანტი,თუმცა ხდება, როდესაც დისპოზიცია მისთვის უცხო გამოცდილებას ეჯახება და სწორედ ამ დროს სჭირდება ნებელობის ცნობიერი რესურსი. ამ კუთხითაც კვლევის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება,რადგან ის უკეთესად მოგვცემს საშუალებას ავხსნათ ქცევითი ვარიაციები.

გამოყენებული ლიტერატურა

ალფაიძე, თ. (2009). *შესავალი სამართალმცოდნეობაში.* თბილისი.

ამინოვი, ი. (2014). *იურიდიული ფსიქოლოგია.* თბილისი: სამართლიანი საქართველო.

დევიაცია. (თ. გ.). *დევიაცია, სამოქალაქო განათლების ლექსიკონი.* მოპოვებული საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3603-დან

ვარძელაშვილი, ი. (2016). *სასჯელის მიზნები.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნადარეიშვილი, ვ. (2007). *ადაპტაციის, სტაბილობისა და დევიაციის სოციო-ფსქოლოგიისათვის.* თბილისი: საქართველოს მაცნე.

ნადარეიშვილი, ვ. (2008). *დევიაცია, დაძაბულობის თეორიები და წონასწორობის განწყობისეული მოდელი.* თბილისი: საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე .

ნადარეიშვილი, ვ. (2009). *მოსალოდნელი ღირებულების კონცეფცია და განწყობა* (Vol. 21). თბილისი: ფსიქოლოგია.

ნადარეიშვილი, ვ. (2017). *სოციალური კონტროლის სახეობების ფსიქოლოგიური ასპექტები.*

ნადირაშვილი, შ. (1983). *განწყობის ფსიქოლოგია* (Vol. 1). (ა. ფრანგიშვილი, Ed.) თბილისი: მეცნიერება.

ნადირაშვილი, შ. (1985). *განწყობის ფსიქოლოგია* (Vol. 2). თბილისი: მეცნიერება.

სამართალდარღვევების სტატისტიკა. (2019). მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika-დან

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. (2019, May 29). Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე : https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=208#!

ტურავა, მ. (2013). *დანაშულის მოძღვრება, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი.* თბილისი: მერიდიანი.

უზნაძე, დ. (1977). *შრომები, ტომი 6.* თბილისი: მეცნიერება.

უზნაძე, დ. (2009). *განწყობის ფსიქოლოგია* (4 გამ.). (შ. ნადირაშვილი, რედ.) თბილისი: საქართველოს მაცნე.

შალიკაშვილი, მ. (2017). *კრიმინოლოგია.* თბილისი: მერიდიანი.

ხუბუა. (2004). *სამართლის თეორია.* თბილისი: მერიდიანი.

Abercrombie, N., Hill, S., & Turner, B. S. (1994). *Dictionary of Sociology* (3rd გამ.). Penguin Group.

Anomaly, J., & Brennan, G. (2014). Social norms, the invisible hand, and the law. *University of Queensland Law Journal, 33*(2), 263-284.

Bellair, P. (2017 წლის July). *Social Disorganization Theory.* მოპოვებული Oxford Research Encyclopedias: http://oxfordre.com/criminology/view/10.1093/acrefore/9780190264079.001.0001/acrefore-9780190264079-e-253-დან

Belliotti, R. A. (1981). Negative and positive duties. *Theoria, 47*(2), 82-92.

Boudon, R., & Bourricaud, F. (2003). *A Critical Dictionary of Sociology.* (P. Hamilton, რედ.) Abingdon: Taylor & Francis e-Library.

Breakey, H. (2014). Positive Duties and Human Rights: Challenges, Opportunities and Conceptual Necessities. *Political studies, 63*(5), 1198-1215.

Bruce, S., & Yearley, S. (2006). *The Sage Dictionary of Sociology.* Sage Publications.

Bursik Jr, R. J. (1988). Social disorganization and theories of crime and delinquency: Problems and prospects. *Criminology, 26*(4), 519-552.

Carbonara, E. (2017). Law and Social Norms. F. Parisi (რედ.)-ში, *The Oxford Handbook of Law and Economics* (ხმა 1, გვ. 466-482).

Carrabine, E., Cox, P., Fussey, P., Hobbs, D., South, N., Thiel, D., & & Turton, J. (2009). *Criminology: A sociological introduction.* Routledge.

Coleman, J. S. (1994). *Foundations of Social Theory.* Cambridge, Massachusetts: The Belknap Press of Harvard University Press.

Corsaro, W. A., & Fingerson, L. (2006). Development and Socialization in Childhood. In J. Delamater, *Handbook of Social Psychology* (pp. 125-155). New York: Springer.

Costello, B. J. (2010). Hirschi, Travis: Social Control Theory. In F. T. Cullen, & P. Wilcox (Eds.), *Encyclopedia of Criminological Theory* (pp. 452-459). Thousand Oaks: SAGE Publications, Inc.

Deflem, M. (2015). Deviance and Social Control. (E. Goode, Ed.) *The Handbook of Deviance*, 30-44.

Durkheim, É. (2005). *Suicide: A study in sociology.* (G. Simpson, რედ., J. A. Spaulding, & G. Simpson, თარჯ.) Taylor & Francis e-Library.

Eccles, J. (2009). Who Am I and What Am I Going to Do With My Life? Personal and Collective Identities as Motivators of Action. *Educational Psychologist, 44*(2), 78-89.

Ellen, I. G., & O'Regan, K. (2009). Crime and U.S. Cities: Recent Patterns and Implications. *The ANNALS of the American Academy of Political and Social Science, 626*(1), 22-38.

Erikson, K. T. (1962). Notes on the Sociology of Deviance. *Social Problems*, 307-314.

Garner, B. A. (რედ.). (2009). *Black's Law Dictionary* (9 გამ.). West.

Gibbs, J. P. (2000). Status Integration and Suicide:Occupational, Marital, or Both? *Social Forces, 79*(2), 363-384.

Glaeser, E., & Sacerdote, B. (1999). Why is there more crime in cities? *Journal of Political Economy, 107*(6), 225-258.

Hirschi, T. (2009). *Causes of Delinquency* (9 გამ.). New Jersey: Transaction Pubishers.

Hirschi, T. (2017). On the compatibility of rational choice and social control theories of crime. In D. B. Cornish, & R. V. Clarke, *The reasoning criminal rational choice perspectives on offending* (pp. 105-118). Routledge.

Hollingshead, A. B. (1941 წლის April). The Concept of Social Control. *American Sociological Review, 6*(2), 217-224.

Homans, G. C. (1961). *Social Behavior, Its Elementary Forms.* New York: Harcourt, Brace & World, Inc.

James, J. (2004). Establishing the statistical relationship between population size and UCR crime rate: Its impact and implications. *Journal of Criminal Justice, 32*(6), 547-555.

Jang, S., & Agnew, R. (2017 წლის 11 October). *Strain Theories and Crime.* მოპოვებული researchgate.net.-დან

Janowitz, M. (1975 წლის July). Sociological Theory and Social Control. *American Journal of Sociology., 81*(1), 82-108.

Johnson, B. D. (1965). Durkheim's One Cause of Suicide. *American Sociological Review, 30*(6), 875-886.

Kelman, H. C. (1958). Compliance, identification, and internalization three processes of attitude change. *ournal of conflict resolution, 2*(1), 51-60.

Landbrok, D. A. (1988). Why are crime rates higher in urban than in rural areas? - Evidence from Japan. *Australian & New Zealand Journal of Criminology, 21*(2), 81-103.

Legal Culture and Legal Consciousness. (2001).

Lindenberg, S. (2008). Social norms: What happens when they become more abstract? A. Diekmann, E. Klaus, P. Schmidt, & T. Voss (რედ.)-ში, *Rational Choice: Theoretische Analysen und empirische Resultate* (გვ. 63-81). VS Verlag für Sozialwissenschaften.

Luhmann, N. (1995). *Social Systems.* (T. Lenoir, H. U. Gumbrecht, რედ., J. John Bednarz, & D. Baecker, თარჯ.) Stanford,California: Stanfod Universty Press.

Magidson, J. F., Roberts, B. W., Collado-Rodriguez, A., & & Lejuez, C. W. (2014). Theory-driven intervention for changing personality: Expectancy value theory, behavioral activation, and conscientiousness. *Developmental psychology, 50*(5), 1442-1450.

Måns, S. (2013). Norms in Law and Society: Towards a Definition of the Socio-Legal Concept of Norms. M. Baier (რედ.)-ში, *Social and Legal Norms* (გვ. 39-52). London: Ashgate.

Mares, D. (2010). Social Disorganization and Gang Homicides in Chicago: A Neighborhood Level Comparison of Disaggregated Homicides. *Youth Violence and Juvenile Justice, 8*(1), 38-57.

Martin, E. A. (2006). *A Dictionary of Law* (6 გამ.). New York: Oxford University Press.

McAdams, R. H. (1997). The Origin, Development, and Regulation of Norms. *Michigan Law Review, 96*, 338-433.

McCaughy, C. H., Capron, T. A., Jamieson, J. D., & Carey, S. H. (2016). *Deviant Behavior: Crime, Conflict and Interest Groups* (8 გამ.). New York: Routledge.

Mead, G. H. (1925). The Genesis of the Self and Social Control. *International Journal of Ethics, 35*(3), 251-277.

Mead, G. H. (1934). *Mind, self and society.* Chicago: University of Chicago Press.

Merton, R. K. (1938). Social Structure and Anomie. *American Sociological Review*, 672-682.

Nelken, D. (2004). Using the concept of legal culture. *Australian Journal of Legal Philosophy*, 1-26.

Opp, K.-D. (2015). Norms. J. D. Wright-ში, *International Encyclopedia of the Social and Behavioral Sciences* (2 გამ., ხმა 17, გვ. 5-10). Oxford: Elsevier.

Opp, K.-D. (2018). Externalities, Social Networks, and the Emergence of Norms: A Critical Analysis and Extension of James Coleman's Theory. *Social Research: An International Quarterly, 85*(1), 167-196.

Parsons, T. (1951). *The Social System.* Free Press.

Pratt, T. C., Gau, J. M., Franklin, T. W., Pratt, T. C., Gau, J. M., & Franklin, T. W. (2011). Key Idea: Hirschi's Social Bond/Social Control Theory. *Key ideas in criminology and criminal justice*, 55-70.

Reiss, A. J. (1951). Delinquency as the failure of personal and social controls. *American sociological review, 16*(2), 196-207.

Roeckelein, J. E. (1998). *Dictionary of Theories,Laws and Concepts in Psychology.* London: Greenwood Press.

Ross, E. A. (1896). Social Control. *American Journal of Sociology, 1*(5), 513-535.

Ross, E. A. (1901). *Social control; a survey of the foundations of order.* New York: The Macmillan Company.

Sampson, R. J., & Groves, W. B. (1989). Community structure and crime: Testing social-disorganization theory. *American journal of sociology, 94*(4), 774-802.

Schwartz, S. H. (1987). Toward a universal psychological structure of human values. *Journal of personality and social psychology, 53*(3), 550-562.

Schwartz, S. H., & Sagiv, L. (1995). Identifying Culture-Specifics in the Content and Structure of Values. *Journal of Cross-Cultural Psychology, 26*(1), 92-116.

Sellin, T. (2015). The Conflict of Conduct Norms. In F. P. III, & M. D. McShane, *Criminology Theory: Selected Classic Readings* (2 ed., pp. 71-75). New York : Routledge.

Shuman, E., Cohen-Chen, S., Hirsch-Hoefler, S., & Halperin, E. (2016). Explaining Normative Versus Nonnormative Action: The Role of Implicit Theories. *Political Psychology, 37*(6), 835-852.

Silbey, S. S. (2001). Legal Culture and Legal Consciousness. In P. Batles, & N. Smelser, *International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences* (pp. 8623-8629). New York: Elsevier, Pergamon Press.

Silbey, S. S. (2001). Legal Culture and Legal Consciousness. P. Batles, & N. Smelser-ში, *International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences* (გვ. 8623-8629). New York: Elsevier, Pergamon Press.

Singer, M. G. (1950). Negative and Positive Duties. *The Philosophical Quarterly, 15*(59), 97-103.

Smith, K. (2014). *Émile Durkheim and the Collective Consciousness of Society: A Study in Criminology.* London: Anthem Press.

Thijssen, P. (2012). From mechanical to organic solidarity, and back: With Honneth beyond Durkheim. *European Journal of Social Theory, 15*(4), 454-470.

Thio, A. (1973). Class Bias in the Sociology of Deviance. *The American Sociologist, 8*(1), 1-12.

Timasheff, N. S. (1952). The Basic Concepts of Sociology. *American Journal of Sociology, 58*(2), 176-186.

VandenBos, G. R. (2015). *APA Dictionary of Psychology* (2 გამ.). Washington, DC: American Psychological Association.

Voss, T. (2001). GAME-THEORETICAL PERSPECTIVES ON THE EMERGENCE OF SOCIAL NORMS. M. Hechter, & K.-D. Opp-ში, *Social norms* (გვ. 105-135). New York: Russell Sage Foundation.

Weber, M. (1978). *Economy and Society : An outline of interpretive Sociology.* Los Angeles,California: University of Califomia Press.

Wells, L. E., & Rankin, J. H. (1988). Direct Parental Controls and Delinquency. *CRIMINOLOGY, 26*(2), 263-285.

Wiatrowski, M. D., Griswold, D. B., & & Roberts, M. K. (1981). Social control theory and delinquency. *American sociological review*, 525-541.

Wong, C. (2002). *Clifford R. Shaw and Henry D. McKay, The Social Disorganization Theory. CSISS Classics.* მოპოვებული CSISS Classics: Center for Spatially Integrated Social Science: https://escholarship.org/uc/item/47j411pr-დან

Young, H. P. (2007 წლის January). *Social Norms.* მოპოვებული Department of Economics,University of Oxford: https://www.economics.ox.ac.uk/department-of-economics-discussion-paper-series/social-norms-დან